

ვახტანგ ჭანკოტაძე  
იოსებ (სოსო) ბიჭიკაშვილი

Vakhtang Chankotadze  
Ioseb (Soso) Bichikashvili

გორელი გენერლები

XVIII-XXI

Generals from Gori



წიგნი გამოიცა გორის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით  
**The book is published by the support of Gori Municipality**

**რედაქტორი:** დარეჯან ჭანკოტაძე

**კორექტორი:** დოდო გოცირიძე

**კომპიუტერული**

**უზრუნველყოფა:** შალვა მურადაშვილი

**თარგმნილია** ლელა ხუბულურის მიერ

**Editor:** Darejan Chankotadze

**Corrector:** Dodo Gotsiridze

**Computer maintenance:** Shalva Muradashvili

**Translation** by Lela Khubuluri

## წინასიტყვაობა

„...სჯობს სახელისა მოხვეჭა  
ყოველსა მოსახვეჭელსა...“  
რუსთაველი

„მამაცთა ხელში ყველა  
იარაღი კარგია...“  
გარიბალდი

„...ნამდვილი სარდალი  
გონებით იმარჯვებს...“  
ნაპოლეონი

ქართული გენერალიტეტის საწყისებიდან უკვე გადაიშალა მეოთხე ას-  
წლეულის ფურცლები.

1700 წლის 19 მაისს, რუსეთის იმპერატორმა პეტრე პირველმა გენ-  
ერლის წოდება მიანიჭა ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონს. ამ დღიდან მოყოლებული, საქართველომ შვა-  
ათასზე მეტი გენერალი, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი ქართულ მხედრულ დიდებას. სხვადასხვა წლებში და სხვადასხვა ვითარებაში, ბედის უკუღმართობის გამო, ისინი თავგანწირვით იბრძოდნენ მსოფლიოს ისეთი ქვეყნების ინტერესების დასაცავადაც კი, როგორებიცაა: რუსეთი, თურქეთი, პოლონეთი, საფრანგეთი, ირანი და ამერიკის შეერთებული შტატები. ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ, რუსეთის იმპერიის საჯარისო შენაერთებში, იბრძოდა ათზე მეტი ქართველი გენერალი.

საოცარია ქართული მხედრული

## PREFACE:

“...Better gain a glorious name  
than gain all the wealth on earth...”  
*Rustaveli*

“Every weapon is good in the  
hands of brave men”

*Garibaldi*

“...A true commander-in-chief  
wins by his wit...”

*Napoleon*

The fourth millennium has passed since the source of Georgian plural the generals.

In May 19, 1700 the Emperor or Russia Peter I conferred the rank of General on Aleksandre Bagrationi. Since that day Georgia brought up more than seven thousand Generals who brought fame to Georgian military glory. In various periods of time, in various situations due to falsity of fate they struggled bravely for defending the interest of the countries of the world such as: Russia, Turkey, Poland, France, Iran and the United States of America. More than thousand Georgian generals fought in the military units of Russian Empire against the army of Napoleon.

ფენომენი. ძნელად მოიძებნება საქართველოსნაირი მცირერიცხოვანი ქვეყანა, რომელსაც ამდენი მაღალი რანგის გენერალი (გენერალ მაიორიდან დაწყებული და გენერალსიმუსით დამთავრებული, ასევე აღმირალები და მარშლები) ჰყავდეს.

ქართველი რიგითი მეომრებისა და მაღალი წოდების ოფიცრებისთვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი მხედრული გამბედაობა, გმირობა, ერთგულება და დახვეწილი ტაქტიკური თუ სტრატეგიული საბრძოლო ოპერაციების წარმართვის ნიჭი.

ბოლო სამასი წლის განმავლობაში, ქართველმა მხედართმთავრებმა დამსახურებულად მოიპოვეს ყველა ის სამხედრო წოდება და ჯილდო, რაც კი არსებობდა საქართველოში, რუსეთის იმპერიაში და ყოფილ საბჭოთა კავშირში – „სიმამაცისთვის მედლიდან“ „გამარჯვების“ ორდენამდე და „გმირის მედლამდე“

ქართული გენერალიტეტის მაღალი პროფესიული დონე, გენერლების ნიჭიერება და მხედრული სიმამაცე ის ფენომენია, რომლითაც მუდამ ამყობდა და ამყობს საქართველო, ქართველი ხალხი.

ქართული გენერალიტეტის სასაუკუნოვანი მხედრული დიდების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ყოფილი გორის მაზრისა და, შემდგომში, ქ. გორისა და მისი რაიონის გენერლებს, რომელთა შესახებაც მოკლედ მოგვითხრობს ეს წიგნი.

## აკტორები

Georgian military phenomenon is amazing. It is difficult to find a country as scanty as Georgia which owes so many Generals of high rank (from major-general to generalissimo, also admirals and marshals)

The refined tactical or strategic gift of leading battle-operations, devotion, heroism, military courage were always characteristic for Georgian private soldiers and officers of high rank.

During last three hundred years Georgian military leaders gained deservedly all those military ranks and medals which existed in Georgia, in Russia Empire and the former Soviet Union-from the “Medal for Bravery” to the order for “Victory” and “Medal of Hero”.

High professional level of Georgian plural the generals, the talent of generals and military bravery are the phenomena by which Georgia and the Georgians are proud of.

In the three-century-history of military glory of Georgian plural the generals an important part is taken by general of Gori province and later of Gori and Gori Region, about whom this book tells briefly.

## The Authors



# გიორგი იესეს ძე ერისთავი

ინფანტერიის გენერალი

(1769-1863)

# GIORGI ERISTAVI

General of Infantry

გიორგი ერისთავი 1769 წელს, თავად იესე ერისთავის ოჯახში დაიბადა. 1794 წელს ცოლად მოიყვანა მეფე გიორგი XII-ის ასული გაიანე ბატონიშვილი (1780-1820).

1802 წელს თავად გიორგი ერისთავს მიენიჭა კარის მრჩეველის ჩინი. იმავე წელს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება და გაგზავნილ იქნა ყაბარდოელთა ქვეით პოლკში.

1804 წელს აქტიური მონაწილეობა მიიღო ბელაქნის აღებაში, სადაც ის ქართულ ცხენოსანთა ლაშქარს მეთაურობდა და გმირულად იბრძოდა. ბელაქნის აღებისათვის, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა (1801-1825), მას წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი უბოძა. 1813 წლის 1 ოქტომბერს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა, მას გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭა.

თავადად გიორგი ერისთავმა მონაწილეობა მიიღო რუსეთ-სპარსეთის (1826-1828 წწ.) და რუსეთ-თურქეთის (1828-1829 წწ.) ომებში. 1826 წელს საქართველოს მთავარმართებელმა პასკევიჩმა, მას ნახიჩევანში, ვარების მეთაურობა დაავალა. იმავე

Giorgi Eristavi was born in 1769 in the family of the Prince Iese Eristavi. In 1794 he married to Gaiane Batonishvili (1780-1820) the daughter of king Giorgi XII.

In 1802 the prince Giorgi Eristavi was granted the rank of an advisor of the Royalty. The same year he was awarded the rank of Colonel and was sent to the Infantry Regiment of the Kabardians.

In 1804 he took active part in defeating Balakani where he was the chief of

cavalrymen army and fought bravely. For defeating Belakani the Emperor of Russia Aleksandr I (1801-1825) granted him with Order of St. George Fourth Degree. In October 1 the Emperor Aleksandr I awarded him with the rank of Major-General.

The prince Giorgi Eristavi took part in Russia-Persia (1826-1828) and Russia-Turkey (1828-1829) wars. In 1826 Paskevich, the governor of Georgia assigned him the leadership of the army in Nakhichevani. In the same year he occupied the town of



წელს მან ბრძოლის გარეშე დაიკავა ქალაქი თავრიზი (სპარსეთი).

1826 წლის 14 ოქტომბერს იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა (1825-1855), მას გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიანიჭა და 21-ე დივიზიის მეთაურად დანიშნა. 1830 წელს სამხედრო სამსახური დატოვა და სენატორად დანიშნა.

1818 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, ის რუსული გეოგრაფიული საზოგადოების ქართული განყოფილების წევრი იყო.

1846 წლიდან გიორგი ერისთავი კომისიის თავმჯდომარე იყო, რომელიც თბილისში თავად-აზნაურთა წოდებების განსახილველად იყო შექმნილი. 1846 წლის 7 აპრილს იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა, მას ინფანტერიის გენერლის წოდება მიანიჭა.

თავადი გიორგი ერისთავი დაჯილდოვებული იყო რუსული ორდენებით: წმ. ვლადიმერის მე-3 ხარისხის ორდენით (1813 წ.), წმ. ვლადიმერის მე-2 ხარისხის ორდენით (1830 წ.), წმ. ვლადიმერის 1 ხარისხის ორდენით (1856 წ.); წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენით - თავრიზის აღებისათვის (1827 წ.); წმ. ანნას მე-2 ხარისხის ორდენით (1808 წ.), წმ. ანნას 1 ხარისხის ორდენით (1822 წ.) და რუსეთის იმპერიის უმაღლესი - წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენით (1861 წ.).

გიორგი ერისთავმა ცხოვრების ბოლო წლები გორში გაატარა, სადაც 1863 წლის 2 ნოემბერს გარდაიცვალა. დაკრძალულია იკორთის ტაძრის ეზოში.

Tavrizi (Persia) without battle.

In October 14, 1826 the Emperor Nikoloz I (1825-1828) granted him the rank of Lieutenant-General and assigned him as the head of division 21. In 1830 he left the military service and was appointed as a senator.

From 1818 till the end of his life he was a member of Georgian department of Russian Geographical society.

From 1846 Giorgi Eristavi was the head of the commission which was created in Tbilisi for discussing the ranks of prince-noblemen. In April 7, 1846 the Emperor Nikoloz I granted him the rank of General of the Infantry.

The prince Giorgi Eristavi was awarded with Russian orders: Order of St. Vladimir Third Rank (1813), Order of St. Vladimir Second Rank (1830), Order of St. Vladimir First Rank (1856); Order of St. Nevel for conquering Tavrizi (1827); Order of St. Anna Second Rank (1808), Order of St. Anna First Rank (1822) and the highest order of Russian Empire - order of St. Andria (St. Andrew) (1861).

Giorgi Eristavi spent the last years of his life in Gori. He died in November 2, 1863 in Gori. He is buried in the yard of Ikorta Church.

# დავით მაჩაბელი

## გენერალ-მაიორი

# DAVIT MACHABELI

## Major-General

(1710-1776)

დავით მაჩაბელი დაიბადა ცნობილ ქართველ თავადთა, მაჩაბლების ოჯახში. 1724 წელს მისი მამა ტოვებს საქართველოს და ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის (1703-1724) ამაღლასთან ერთად მიემგზავრება რუსეთში.

1738 წელს, სხვა ქართველ თავად-აზნაურებთან ერთად, რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობას ღებულობს. რუსეთის იმპერატრიცა ანა იოანეს ასულმა (1730-1740), როგორც ქართველ თავადს, მას უკრაინაში, ქ. ხარკოვის მახლობლად, იზიუმის მაზრაში მამული უბოძა, რომლის ცენტრი სოფელი მაჩაბელოვკა გახდა.

1750 წელს დავით მაჩაბელმა რუსეთის იმპერიის ვარში დაიწყო სამსახური. 1766 წელს მან პრემიერ-მაიორის წოდება მიიღო.

1763 წლის მარტიდან ის თანმიმდევრულად ქვეითი ორლოვის, სუზდალის და სევსკის პოლკების მეთაური იყო. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო (პოლკოვნიკის ჩინით) რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომში. 1773 წლის 3 სექტემბერს რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-მ (1762-1796), ქვეითი სევსკის პოლკის პოლკოვნიკ დავით მაჩაბელს წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი უბოძა.

1774 წელს დავით მაჩაბელმა გენერალ-მაიორის წოდება მიიღო.

1776 წელს დავით მაჩაბელი გარდაიცვალა ქ. პოლტავაში და იქვე არის დაკრძალული.

Davit Machabeli was born in the family of famous Georgian princes the Machabelis. In 1724 his father left Georgia for Russia together with the king of Kartli-Vakhtang VI (1703-1724) and his row

In 1738 together with other prince-noblemen he receives subordination of Russian Empire. Being a Georgian prince, the Empress of Russia Anna (1730-1740) granted him the lands in the Ukraine, in Iziumi province near the town of Kharkov. Later, the village of Machabelovka became the center of this province.

In 1763 Davit Machabeli joined the army of the Russian Empire. In 1766 he received the rank of Prime-Major.

From March of 1763 he was the chief of Orlov, Suzdal and Sevskiof Infantry Regiments. He took active part (in the rank of Colonel) in Russia-Turkey war in 1768-1774. In September 3, 1773 the Empress of Russia Ekaterine (1762-1796) granted the Colonel of Sevski Regiment Davit Machabeli Order of St. George Fourth Rank.

In 1774 Davit Machabeli received the rank of Major-General.

In 1776 Davit Machabeli died in the town of Poltava. He is buried in the same town.

**ელიზბარ შანშეს კე  
პრისტავი  
მაიორალ-მაიორი**

**ELIZBAR  
ERISTAVI  
Major-General**

(1810-1872)

ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი დაიბადა 1810 წელს სოფელ კარა-ლეთში. მან 1830 წელს დაამთავრა

ქ. პეტერბურგის სა-რტილერიო სკოლა. მან მონაწილეობა მიიღო 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. იგი იყო 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილე. 1830-1832 წლებში ელიზბარ ერისთავი ალექსანდრე ორბელიანთან და სოლომონ დოდაშვილთან ერთად წარმართავდა ფარული საზოგადოების მთელ საქმი-

ანობას. მისი უშუალო მონაწილეობით შედგა აჯანყების გეგმა. მას შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ სიკვდილი მიუსაჯეს, რომელიც შემდგომ ჰელსინგფორსში (ფინეთი) გადასახლებით შეუცვალეს. ფინეთში მან 11 წელი გაატარა.

1843 წელს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ელიზბარ ერისთავმა ქართულ გრენადერთა პოლკში დაიწყო სამსახური. 1858-1870 წლებში ის თბილისის გუბერნიის გორის მაზრის უფროსი იყო.

Elizbar Eristavi was born in 1810 in Karaleti. In 1830 he graduated from the School of Artillery in



St Petersburg. He took part in the war of Russia-Turkey of 1828-1829. He was the active participant of conspiracy of 1832. In 1830-1832 Elizbar Eristavi together with Aleksandre Orbeliani and Solomon Dodashvili conducted all the affairs of the secret organization.

The plan of rebellion was made by his participation. After disclosing the conspiracy he was sentenced to death penalty but later he was exiled in Helsingfors (Finland) where he spent 11 years of his life.

After returning to his home country in 1843 Elizbar Eristavi began his service in Regiment of Georgian grenadiers. In 1858-1870 he was the head of Gori province of Tbilisi gov-

ელიზბარ ერისთავი მონაწილეობდა ქვეყნის კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. 1866 წლის 7 ნოემბერს მას პოლკოვნიკის, ხოლო 1870 წლის 30 ოქტომბერს - გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. 1870 წელს სამსახური დატოვა და პენსიაში მუნდირის ტარების უფლებით გავიდა.

ელიზბარ ერისთავი გარდაიცვალა ქ. გორში, 1872 წლის 12 იანვარს.

erning region. ElizbarEristavi participated in cultural and economic life of the country. In November 7, 1866 he was given the rank of Colonel and in October 30, 1870-the rank of Major-General. In 1870 he retired with the right of wearing a military full-dress coat.

ElizbarEristavi died in January 12, 1872 in Gori.

**იაკობ ქაიხოსროს ძე  
ალხაზიშვილი  
ინფანტერიის გენერალი**

**IAKOB  
ALKHAZISHVILI  
General of Infantry**

(1826-1896)

იაკობ ქაიხოსროს ძე ალხაზიშვილი დაიბადა ქ. გორში, 1826 წლის 1 იანვარს. 1844 წელს მან ოქროს მედლით დაამთავრა ქ. პეტერბურგის კადეტთა სასწავლებელი და პრაპორშჩიკის ჩინით კეიბ-გვარდიის ფინეთის პოლკში დაინიშნა. მისი გვარი სწავლის წარჩინებით დამთავრებულების მარმარილოს დაფაზე იყო ამოკვეთილი. მან თავი გამოიჩინა, როგორც განსაკუთრებულმა მსროლელმა,



IakobAlkhasishvili was born in January 1, 1826 in Gori. In 1844 he graduated from Petersburg Cadet Military School with honors and was appointed in Keib-Guards of Finland regiment with the rank of a prapors-chik (intermediate rank approximating to warrant officer). His surname was engraved on the marble board

რის გამოც რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა (1825-1855) არაერთხელ დაასაჩუქრა ზუსტი სროლისათვის.

იაკობ ალხაზიშვილი მონაწილეობდა რუსეთის იმპერიის არმიის თითქმის ყველა იმდროინდელ ლაშქრობებში. მან მონაწილეობა მიიღო ყირიმის 1853-1856 წწ.-ის და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ.-ის ომებში. მსახურობდა ვილენის სამხედრო ოლქში და მონაწილეობა მიიღო პოლონეთის 1863-1864 წლების აჯანყების დამხობაში. 1864 წლიდან ის მე-4 ქვეითი კოპორის პოლკის მეთაური იყო. 1873 წლის 30 აგვისტოს მიიღო გენერალ-მაიორის წოდება და 1874 წლიდან დაინიშნა კავკასიის მე-2 ქვეითი ბრიგადის მე-19 დივიზიის მეთაურად.

1877 წლის 3 ივნისიდან იმავე წლის 17 სექტემბრამდე იაკობ ალხაზიშვილი მეთაურობდა რიონის მხარის ჯარს და სოხუმის სამხედრო განყოფილებას. ამასთან ერთად, ის იმერეთ-გურიის მილიციის მეთაურიც იყო. ამ სამხედრო რაზმებით მან ილორთან ბრძოლაში დაამარცხა თურქების დიდი დესანტი, რომელიც დასავლეთ საქართველოში შეიჭრა. 1877 წლის 15 ივნისს ოჩამჩირის მახლობლად გაანადგურა თურქული რაზმი და 20 აგვისტოს ბრძოლით დაიკავა სოხუმი. ასევე ალაჯის მახლობლად დაამარცხა თურქული დესანტი.

of graduates with honor. He was an outstanding shooter and for this skill the Emperor of Russia Nikoloz I (1825-1855) awarded him several times for accurate shooting.

Iakob Alkhazishvili participated almost in all army activities of the Russian Empire. He took part in the Crimea-1853-1856 and Russia-Turkey 1877-1878 wars. He served in Villen military district and took part in subversion of rebellion in Poland in 1863-1864. From 1864 he was the head of IV infantry regiment of Kopori. In August 30, 1873 he was given the rank of Major-General. In 1874 he was appointed as the head of the 19th division of the 2nd infantry brigade of the Caucasus.

From June 3, 1877 till September 17, 1877 Iakob Alkhazishvili was the chief of the Army of Rioni part and Sokhumi military division. At the same time he was the chief of Imeriti-Guria militia department. With these military units he defeated the landing force of Turkey in the battle at the Ilori, which invaded the west Georgia. In June 15, 1877 he annihilated the Turkish detachment near Ochamchire and in August 20 he took Sokhumi by battle. Also he



იაკობ ალხაზიშვილს სოხუმის ალებისა და თურქებისგან აფხაზეთის განთავისუფლებისათვის რუსეთის იმპერატორმა, ალექსანდრე II-მ, 1877 წლის 24 ოქტომბერს გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიანიჭა და წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი უბოძა.

1877 წლის 6 ნოემბერს რუსეთის არმიის მიერ ყარსის ციხე-სიმაგრის გარემოცვის დროს იერიშით აიღო ხაფიზის ფორტი და ქუთაისის ქვეითი ათასეულით ქალაქში ერთ-ერთი პირველი შეიჭრა და ციტადელი აიღო. ქალაქ ყარსის დაკავებისას პირადად იღებდა მონაწილეობას ბრძოლაში, რომელშიც დაიჭრა კიდევ. ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცისათვის 1877 წლის 19 დეკემბერს მას წმ. გიორგის მე-3 ხარისხის ორდენი უბოძეს. მის საპატივცემულოდ ქ. ყარსში ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი დაარქვეს და ციხე-სიმაგრის ხაფიზის ფორტს მისი სახელი მიანიჭეს („Алхазовский форт“).

ამ ომის შემდეგ ის თანმიმდევრულად მეთაურობდა: 1878-1883 წწ.-ში - 51 ქვეით დივიზიას, 1886-1885 წწ.-ში - კავკასიის გრენადერთა დივიზიას და 1885 წ. - კავკასიის მე-3 საარმიო კორპუსს.

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე III-მ, 1891 წლის 10 იანვარს მას ინფანტერიის გენერლის წოდება მიანიჭა. 1894 წლის 19 ოქტომბრიდან სიკვდილამდე იაკობ

defeated Turkish landing force near Alaji.

In October 24, 1877 the Emperor of Russia Aleksandr II awarded IakobAlkhashivili with Order of St. George Fourth Rank for taking Sokhumi and liberating Abkhazia from the Turkeys.

In November 6, 1877 he took Kafizi fort with attack while Karsi Fortress was surrounded by Russian army and he and Kutaisi infantry unit were the first who invaded the town and took the citadel. He personally participated in the battle for occupying the town of Karsi. He was even wounded in this battle. In December 19, 1877 he was awarded with Order of St. George Third Degree for the bravery in the battle. One of the streets in Karsi and the fortress of Khafizi fort were given his name to honor him (“Alkhashovski Fort”).

After this war he in succession was the head of 51st Infantry division in 1878-1883; Grenadiers division of the Caucasus in 1885-1886 and the 3rd army corps of the Caucasus.

In January 10, 1891 the Emperor of Russia Aleksandr III granted him with the rank of General of Infantry. Form October 19, 1894 till

ალხაზიშვილი რუსეთის იმპერიის სამხედრო საბჭოს წევრი იყო.

იაკობ ალხაზიშვილი დაჯილდოვებული იყო რუსული ორდენებით: წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენით (1889 წ.), ბრილიანტის ნიშნებით იმავე ორდენისათვის (1894 წ.); წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ორდენით (1856 წ.), წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენით (1861 წ.), წმ. სტანისლავის 1 ხარისხის ორდენით (1876 წ.); წმ. ანას მე-3 ხარისხის ორდენით (1859 წ.), წმ. ანას მე-2 ხარისხის ორდენით გვირგვინით (1863 წ.), წმ. ანას 1 ხარისხის ორდენით მახვილებით (29.08.1877 წ.); წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენით მახვილებით და ბანტით (1863 წ.), წმ. ვლადიმერის მე-3 ხარისხის ორდენით (1869 წ.), წმ. ვლადიმერის მე-2 ხარისხის ორდენით მახვილებით (1877 წ.). ის, ასევე იყო უცხოური ორდენებით დაჯილდოვებული: პრუსიის გვირგვინის ორდენით ვარსკვლავებით და პრუსიის წითელი არწივის მე-2 ხარისხის ორდენით. 1868 და 1871 წლებში იაკობ ალხაზიშვილს ბრილიანტებით მორთული ორი ბეჭედი ებოძა.

იაკობ ალხაზიშვილი გარდაიცვალა ქ. პეტერბურგში, 1896 წლის 3 ნოემბერს. დაკრძალულია ქ. გორში საგვარეულო საძვალეში.

his death IakobAlkhazishvili was a member of military council of Empire of Russia.

Iakob Alkhazishvili was awarded with Russian orders: Order of St. Aleksandr Nevel (1889), with diamond marks for the same order (1894), Order of St. Stanislav Third Rank (1856), Order of St. Stanislav Second Rank (1861), Order of St. Stanislav First Rank (1876), Order of St. Anna Third Rank (1859), Order of St. Anna Second Rank with crown (1863), Order of St. Anna First Rank with swords (28.08.1877), Order of St. Vladimer Fourth Rank with swords and ribbon (1863), Order of St. Vladimer Third Rank (1869), Order of St. Vladimer Second Rank with swords (1877). He also was awarded with foreign orders: Order of Prussia Crown with stars and Order of Prussia Red Eagle Second Rank. In 1868-1871 IakobAlkhazishvili was granted two seals decorated with diamonds.

Iakob Alkhazishvili died in November 3, 1896 in Petersburg. He is buried in Gori, in family crypt.



**მიხეილ ბიძინას კე  
ერისთავი  
გენერალ-მაიორი**

**MIKHEIL  
ERISTAVI  
Major-General**

(1827-1894)

მიხეილ ერისთავი დაიბადა 1827 წლის 9 თებერვალს, თბილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ კარალეთში, თავად ბიძინა ერისთავის ოჯახში. მისი ძმები იყვნენ გენერლები კონსტანტინე და ნიკოლოზ ერისთავები.

მიხეილ ერისთავმა მონაწილეობა მიიღო ყირიმის 1853-1856 წწ.-ის და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ.-ის ომებში. მას რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ, 1877 წლის 17 ოქტომბერს წმ. ანნას მე-2 ხარისხის ორდენი მახვილებით უბოძა, ხოლო 1880 წელს გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭა.

1894 წლის 7 მაისს მიხეილ ერისთავი თბილისში გარდაიცვალა. დაკრძალულია კალაუბნის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის საგვარეულო საძვალეში.

Mikheil Eristavi was born in February 9, 1827 in the village of Karaleti, Gori province,

in the family of the prince of Bidzina Eristavi. His brothers were Generals Konstantine and Nikoloz Eristavis

Mikheil Eristavi took part in the Crimea war of 1853-1856 and Russia-Turkey war

of 1877-1878. In October 17, 1877 the Emperor of Russia Aleksandr II awarded him with Order of St. Anna Second Rank with swords and in 1880 gave him the rank of Major-General.

In May 7, 1894 Mikheil Eristavi died in Tbilisi. He is buried in family crypt in Kalaubani St. George Church.



# ნიკოლოზ ბიძინას ძე ერისთავი

გენერალ-ლეიტენანტი

NIKOLoz  
ERISTAVI

Lieutenant-General

(1834-1911)

ნიკოლოზ ერისთავი დაიბადა 1834 წლის 1 იანვარს თბილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ კარალეთში, თავად ბიძინა ერისთავის ოჯახში. მისი ძმები იყვნენ გენერლები კონსტანტინე და მიხეილ ერისთავები. ამავე დროს ის იყო გენერლების – ალექსანდრე და გიორგი ერისთავების მამა.

ნიკოლოზ ერისთავმა განათლება კონსტანტინოვსკის სამიჯნო ინსტიტუტში მიიღო. 1852 წლიდან მსახურობდა რუსეთის იმპერიის ჯარში. 1857 წლიდან ის ბაქოს გუბერნიის ახუღინის გზის უფროსი იყო, ხოლო 1859 წელს შემახის მაზრის მეტყველ დანიშნეს. 1862 წლიდან ნიკოლოზ ერისთავი ამიერკავკასიის სამიჯნე პალატაში შემახის მაზრის უფროსის, ხოლო შემდეგ ბაქოს გუბერნიის უფროსის მოადგილე იყო. 1864 წელს ის დარგის ოლქის უფროსად დანიშნეს. 1867 წელს თერგის მხარის ჩეჩნთა



Nikoloz Eristavi was born in January 1, 1834 in the village of Karaleti, Gori province, in the family of

the prince of Bidzina Eristavi. His brothers were Generals Konstantine and Mikheil Eristavis.

Nikoloz Eristavi got education in Konstantinovsk. From 1852 he served in the army of Russian Empire. From 1857 he was the head of Akhulini

road of Baku governing region. In 1859 he was appointed as a ranger of Shemakhi province. From 1862 Nikoloz Eristavi was the deputy head of Shemakhi province in Trans-Caucasian boarding chamber. Later he became deputy head of Baku governing region. In 1864 he was appointed as the head of the district. In 1867 he was appointed as the head of the Chechnya district of

ოლქის უფრასად დაინიშნეს. 1870 წელს ვედენოს, ხოლო 1874 წლიდან ის პოლკოვნიკის ჩინით გროზნოს ოლქის უფროსად დაინიშნა. 1877 წელს, ჩეჩნეთში აჯანყების დაწყებისთანავე, ნიკოლოზ ერისთავი გროზნოს სამხედრო რაზმის მეთაურად დაინიშნა. მისი აქტიური მონაწილეობით ეს აჯანყება მალევე ჩაახშეს.

1878 წლის 26 სექტემბერს ნიკოლოზ ერისთავი ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მოადგილედ იქნა გამწესებული. 1883 წლიდან ის ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოადგილედ დაინიშნეს.

რუსეთის იმპერატორმა, ალექსანდრე III-მ, 1884 წლის 6 მაისს მას გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭა.

1894 წელს, სამსახურიდან გადადგომისთანავე, მას გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა.

ნიკოლოზ ერისთავი დაჯილდოებული იყო რუსული ორდენებით: წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ორდენით, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენით (1871 წ.), წმ. სტანისლავის 1 ხარისხის ორდენით; წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენით ბანტით (1879 წ.), წმ. ვლადიმერის მე-3 ხარისხის ორდენით (1879 წ.); წმ. ანნას მე-2 ხარისხის ორდენით მხვილებით, წმ. ანნას 1 ხარისხის ორდენით, თეთრი არწივის ორდენით (1904 წ.). ის,

the Tergi Part. In 1877 he was appointed as the head of Vedeno and in 1874-the head of Grozno district with the rank of Colonel. In 1877 from the very beginning of rebellion in Chechnya Nikoloz Eristavi was appointed as the head of the military unit of Grozno. With his active participation the rebellion was suppressed very quickly.

In September 26, 1878 Nikoloz Eristavi was sent to Batumi as the deputy head of Military governor of Batumi district. From 1883 he was appointed as the deputy of military governor of Kutaisi.

In May 6, 1884 the Emperor of Russia Aleksandr III gave him the rank of Major-General.

In 1894 just after resigning from the work he was given the rank of Lieutenant-General.

Nikoloz Eristavi was awarded with Russian orders: Order of St. Stanislavski Third Rank, Order of St. Stanislavski Second Rank(1871), Order of St. Stanislavski First Rank; Order of St. Vladimer Fourth Rank with ribbon (1879), Order of St. Vladimer Third Rank (1879); Order of St. Anna Second Rank with swords (1879), Order of St. Anna First Rank, Order

ასევე, უცხოური ორდენებით იყო და-  
ჯილდოვებული: თურქული მეჯიდის  
მე-2 ხარისხის ორდენით; ირანული  
ლომის და მზის მე-2 ხარისხის ორ-  
დენით და ბუხარის ოქროს ვარსკე-  
ლავის 1 ხარისხის ორდენით.

ნიკოლოზ ერისთავი გარდაიცვა-  
ლა ქ. პეტერბურგში, 1911 წლის 18  
აპრილს. დაკრძალულია თბილისში,  
კალაუბნის წმ. გიორგის სახელობის  
ეკლესიის საგვარეულო საძვალეში.

of White Eagle (1904). He also was  
awarded with foreign orders: order  
of Turkish Mejidie Second Rank; Or-  
der of Iranian Lion, Order of the Sun  
Second Rank and Order of Bukhari  
Gold Medal First Rank.

Nikoloz Eristavi died in April 18,  
1911 in Pererstburg. He is buried In  
Tbilisi in family crypt in Kalaubani  
St. Giorgi Church.

---

## **ივანე ბრიგოლის კე ალხაზიშვილი მაიორ-გენერალი**

## **IVANE ALKHAZISHVILI Major-General**

**(1835-1900)**

ივანე ალხაზიშვილი 1835 წელს  
დაიბადა ქ. გორში აზნაურ გრიგოლ  
ალხაზიშვილის ოჯახში.

ივანე ალხაზიშვილი მონაწილე-  
ობდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878  
წლების ომში. მას რუსეთის იმ-  
პერატორმა ალექსანდრე II-მ, 1878  
წლის 3 ივნისს გენერალ-მაიორის  
წოდება მიანიჭა.

ივანე ალხაზიშვილი გარდაიცვა-  
ლა ქ. თბილისში, 1900 წლის 22  
ივნისს. დაკრძალულია ქ. გორში  
საგვარეულო საძვალეში.

Ivane Alkhazishvili was born in  
1853 in Gori in the family of a noble-  
man Grigol Alkhazishvili.

Ivane Alkhazishvili participated  
in Russia-Turkey war in 1877-1878.  
In June 3, 1878 The Emperor of Rus-  
sia Aleksandr II granted him the rank  
of Major-General.

Ivane Alkhazishvili died in June  
22, 1900 in Tbilisi. He is buried in Gori  
in his family crypt.

**კონსტანტინე ბიძინას ძე  
ერისთავი  
გენერალ-ლეიტენანტი**

**KONSTANTINE  
ERISTAVI  
Lieutenant-General**

(1836-1897)

კონსტანტინე ერისთავი დაიბადა 1836 წლის 23 მაისს, თბილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ კარალეთში, თავად ბიძინა ერისთავის ოჯახში. მისი ძმები იყვნენ გენერლები მიხეილ და ნიკოლოზ ერისთავები. მან მონაწილეობა მიიღო ყირიმის 1853-1856 წწ.-ის და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ.-ის ომებში.

1887 წლის 14 ნოემბრიდან, კონსტანტინე ერისთავი 1 კავკასიური მსროლელთა დრუჟინის მეთაური იყო. ის ასევე განსლდათ გორის მაზრის სარეზერვო პოლკის მეთაური. მას რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე III-მ, წმ. სტანისლავის I ხარისხის ორდენი და სამხედრო წარჩინების მე-4 ხარისხის ორდენი უბოძა.

კონსტანტინე ერისთავი გარდაიცვალა ქ. გორში 1897 წლის 2 მაისს. დაკრძალულია თბილისში, კალაუბნის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის საგვარეულო საძვალეში.

Konstantine Eristavi was born in May 23, 1836 in the village of Karaleti, Gori province, in the family of the prince of Bidzina Eristavi.

His brothers were Generals Nikoloz and Mikheil Eristavis. He took part in the Crimea war in 1853-1856 and in Russia-Turkey war in 1877-1878.

From November 14, 1887 Konstantine Eristavi was the head of

Shooters division of the Caucasus I. He also was the chief of backup regiment of Gori province. The Emperor of Russia Aleksandr III granted him with Order of St. Stanislav First Rank and Order of Honor Fourth Rank.

Konstantine Eristavi died In May 2, 1897 in Gori. He is buried In Tbilisi in family crypt in Kalaubani St. Giorgi Church.



**მიხეილ ნიკოლოზის ძე  
ფურცელაძე  
ბენეარალ-მაიორი**

**MIKHEIL  
PURTSELADZE  
Major-General**

(1836-1912)

მიხეილ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე დაიბადა 1836 წლის 6 დეკემბერს, თბილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ მერეთში. 1856 წელს ის სამხედრო სამსახურში შევიდა. მან მონაწილეობა მიიღო რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში. 1893 წელს მას პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა. 1903 წლის 28 მაისს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ, მას გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭა. იმავე წელს მან სამხედრო სამსახური დატოვა. მისი შვილი იყო გენერალ-მაიორი გიორგი ფურცელაძე.

მიხეილ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე დაჯილდოვებული იყო რუსული ორდენებით: წმ. ანნას მე-4 ხარისხის ორდენით (1858 წ.), წმ. ანნას მე-3 ხარისხის ორდენით (1872 წ.), წმ. ანნას მე-2 ხარისხის ორდენით (1889 წ.); წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის მახვილებით და ბანტით ორდენით (1861 წ.), წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენით (1872

Mikheil Purtseladze was born in December 6, 1836 in the village of Mereti, Goriprovince of Tbilisi

governing region. In 1856 he joined military service. He participated in Russia-Turkey war in 1877-1878. In 1893 he was given the rank of Colonel. In May 28, 19.03 the Emperor of Russia Nikoloz II give him the rank of Major-general. In the



same year he left the military service. His son was Major-general Giorgi Purtseladze.

Mikeil Purtseladze was awarded by Russian orders: Order of St. Anna Forth Rank (1858), Order of St. Anna Third Rank (1872), Order of St. Anna Second Rank (1889), Order of St. Stanislav Third Rank with swords and ribbon (1861), Order of St. Stanislav Second Rank(1872); Order of St.

წ.); წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენით (1880 წ.). ის, ასევე, იყო დაჯილდოებული: ირანული ლომის და მზის I ხარისხის ორდენით (1879 წ.).

მიხეილ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე გარდაიცვალა 1912 წლის 9 აპრილს. დაკრძალულია სოფელ მერეთის ეკლესიის საგვარეულო საძვალეში.

Vladimer Forth Rank (1880). He also was awarded with Orders of Iranian Lion and Order of the Sun First Rank (1879).

Mikheil Purtseladze died in April 9, 1912. He is buried in the village of Mereti, in the family crypt of Mereti Church.

---

## ილია დიმიტრის ძე ჯავრიშვილი გენერალ-მაიორი

## ILIA JAVRISHVILI Major-general

(1841-1901)

ილია დიმიტრის ძე ჯავრიშვილი დაიბადა 1841 წლის 20 ივლისს. 1861 წელს ის სამხედრო სამსახურში შევიდა. მან რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში მიიღო მონაწილეობა.

ილია დიმიტრის ძე ჯავრიშვილი გარდაიცვალა 1901 წლის 18 იანვარს. დაკრძალულია სოფელ წალასკურის ეკლესიის საგვარეულო საძვალეში.



Ilia Javrishvili was born in July 20, 1841. In 1861 he joined military service. He took part in Russia-Turkey war in 1877-1878.

Ilia Javrishvili died in January 18, 1901. He is buried in the village of Tsalaskuri. In the family crypt in the Church.



**დავით ესტავის კმ  
ერისთავი  
კავალერიის გენერალი**

**DAVIT  
ERISTAVI  
Cavalry general**

(1842-1910)

დავით ერისთავი დაიბადა თავად ესტავე ერისთავის ოჯახში 1842 წლის 3 ივნისს.

1862 წელს მან გვარდიის პოდპროპორშიჩების სამხედრო სკოლა დაამთავრა. სამხედრო სამსახური კიევის ჰუსართა პოლკში გააგრძელა. 1875 წელს მას პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა. 1876 წლიდან ყუბანის კაზაკთა ჯარის, პოლტავის ცხენოსანთა პოლკის მეთაური იყო. მან რუსეთ-თურქეთის (1877-1878 წწ.) ომში მიიღო მონაწილეობა, სადაც დაიჭრა.

1886 წლის 3 ნოემბერს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე III-მ, დავით ერისთავს გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭა და მე-9 კავალერიის დივიზიის მე-2 ბრიგადის მეთაურად დანიშნა.

1891 წლის 6 ნოემბერს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე III-მ, მას გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიანიჭა და მე-13 კავალერიის

Davit Eristavi was born in June 3, 1842 in the family of the prince of Estate Eristavi.

In 1862 he graduated from the podproporschiki military school of the regiment. He continued military service in Kiev regiment. In 1875 he was given the rank of Colonel. From 1876 he was

the head of Kubani Cossak army and Poltava cavalrymen regiment. He took part in Russia-Turkey war (1877-1878) where he was wounded.

In November 3, 1886 the Emperor of Russia Aleksandr III granted him the rank of Major-General and appointed him as the head of the 2nd brigade of the division of the 6th cavalry.

In November 6, 1891 the Emperor of Russia Aleksandr III grant-





ღვიზიის მე-2 ბრიგადის მეთაურად დანიშნა. 1895 წლის 11 ივნისიდან ის მე-5 კავალერიის ღვიზიის მეთაური იყო.

1906 წლის 6 დეკემბერს იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ მას კავალერიის გენერლის წოდება მიანიჭა.

დავით ერისთავი დაჯილდოებული იყო რუსული ორდენებით: წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით (1881 წ.); წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენით მახვილებით და ბანტით (1877 წ.), წმ. ვლადიმერის მე-3 ხარისხის ორდენით მახვილებით (1878 წ.), წმ. ვლადიმერის მე-2 ხარისხის ორდენით (1903 წ.); წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენით (1876 წ.), წმ. სტანისლავის 1 ხარისხის ორდენით (1896 წ.); წმ. ანნას მე-2 ხარისხის ორდენით (1877 წ.), წმ. ანნას მე-1 ხარისხის ორდენით (1894 წ.); თეთრი არწივის ორდენით (1904 წ.). ის, ასევე, იყო დაჯილდოებული: ირანული ლომისა და მზის 1 ხარისხის ორდენით.

დავით ერისთავი გარდაიცვალა ქ. სანქტ-პეტერბურგში, 1910 წლის 2 ივლისს.

ed him the rank of Lieutenant-General and appointed him as the head of the 2nd brigade of the division of the 13th cavalry. From June 11, 1895 he was the head of the division of the 5th cavalry.

In December 6, 1906 the Emperor of Russia Nikoloz II granted him the rank of Cavalry General.

Davit Eristavi was awarded by Russian orders: Order of St. George Fourth Rank(1881); Order of St. Vladimir Fourth Rankwith swords and ribbon (1877); Order of St. Vladimir Third Rank with swords (1878); Order of St. Vladimir Second Rank (1903); Order of St. Stanislav Second Rank (1876), Order of St. Stanislav First Rank (1896), Order of St. Anna Second Rank (1877), Order of St. Anna First Rank (1894); Order of White Eagle (1904). He was also awarded by: Order of Iranian Lion and Order of the Sun First Rank.

Davit Eritavi died in July 2, 1910 in Petersburg.

**როსტომ გიორგის ძე  
ჩიკოიძე  
გენერალ-მაიორი**

**ROSTOM  
CHIKOIDZE  
Major-General**

(1848-1925)

როსტომ გიორგის ძე ჩიკოიძე დაიბადა 1848 წელს ქ. გორში 1869 წელს მან ერევანის გრენადერთა პოლკთან არსებული სამხედრო სკოლა დაამთავრა, ხოლო 1872 წელს მოსკოვის სამხედრო სასწავლებელი.

1872 წლიდან სტავროპოლის მე-74 ქვეითი მე-7 ესკადრონში მსახურობდა. მან რუსეთ-თურქეთის (1877-1878 წწ.) ომში მიიღო მონაწილეობა, სადაც დაიჭრა.

1898-1902 წლებში ის კავიზმანის მსროლელთა ბატალიონის უფროსი იყო. 1902-1903 წლებში 259-ე ქვეითი პოლკის უფროსი იყო, ხოლო 1903-1907 წლებში – ერევანის მსროლელთა ბრიგადის მეთაური.

1905 წლის 27 აპრილს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ, მას გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭა. იმავე წელს როსტომ ჩიკოიძემ სამხედრო სამსახური დატოვა.

როსტომ ჩიკოიძე დაჯილდოებული იყო რუსული ორდენებით: წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით (1878 წ.); წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენით (1882 წ.); წმ. ანნას მე-2 ხარისხის ორდენით (1887

Rostom Chikoidze was born in 1848 in Gori. In 1869 he graduated from military school at Erevani Grenadier Regiment. In 1872 he graduated Moscow military school.

From 1872 he served in 7th escadron of the 74th infantry regiment of Stavropol. He took part in Russia-Turkey war (1877-1878) where he was wounded.

In 1898-1902 he was the head of kazigman shooters' battalion. In 1902-1903 he was the head of 259th infantry regiment and in 1903-1907-the head of Erevani shooters' brigade.

In April 27, 1905 the emperor of Russia Nikoloz II gave him the rank of major-general. The same year Rostom Chikoidze resigned from the military service.

Rostom Chikoidze was awarded with Russian orders: Order of St. George Fourth Rank (1878); Order of St. Stanislav Second Rank (1882); Or-



წ.); წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის მახვილებით და ბანტით ორდენით (1877 წ.), წმ. ვლადიმერის მე-3 ხარისხის ორდენით (1903 წ.).

როსტომ გიორგის ძე ჩიკოიძე გარდაიცვალა 1925 წელს. დაკრძალულია გორის მაზრის სოფელ მეჯვრისხევის ეკლესიაში.

der of St. Anna Second Rank (1887); order of St. Vladimir Fourth Rank with swords and ribbon (1877), Order of St. Vladimir Third Rank (1903).

Rostom Chikoidze died in 1925. He is buried in the Church of the village of Mejvriskhevi of Gori province.

## **ვასილ რევაზის ძე მაჩაბელი ბენერალ-მაიორი**

(1854-1914)

ვასილ რევაზის ძე მაჩაბელი დაიბადა ქ. გორში, 1854 წლის 24 მარტს.

ის რუსეთ-თურქეთის (1877-1878 წწ.) ომში მონაწილეობდა. 1878 წელს მას პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა. 1909-1913 წლებში ის დისციპლინარული ბატალიონის მეთაური იყო.

1913 წლის 31 დეკემბერს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ, მას გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭა. იმავე წელს ვასილ მაჩაბელმა სამხედრო სამსახური დატოვა.

ვასილ მაჩაბელი დაჯილდოებული იყო რუსული ორდენებით: წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ორდენით (1901 წ.); წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის მახვილებით და ბანტით ორდენით (1906 წ.). ის ასევე ოქროს ხმლით იყო დაჯილდოებული.

## **VASIL MACHABELI Major-General**

Vasil Machabeli was born in March 24, 1854 in Gori.

He participated in Russia-Turkey war (1877-1878). In 1878 he was granted the rank of Colonel. In 1909-1913 he was the head of disciplinary battalion.

In December 31, 1913 the emperor of Russia Nikoloz II granted him the rank of Major-General.

The same year Vasil-Machabeli resigned from the military service.

Vasil Machabeli was awarded with Russian orders: Order of St. Stanislav Third Rank (1901); order of St. Vladimir Fourth Rank with swords and ribbon (1906). He also was awarded with Golden Sword.



**მიხეილ ნიკოლოზის ძე  
ქავთარაძე  
გენერალ-მაიორი**

**MIKHEIL  
KAVTARADZE  
Major-General**

(1858-1921)

მიხეილ ქავთარაძე დაიბადა 1858 წლის 16 ოქტომბერს თბილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ მერეთში, აზნაურ ნიკოლოზ ქავთარაძის ოჯახში.

1878 წელს ის სამხედრო სასახურში შევიდა. 1899 წელს მან დაამთავრა გენერალური შტაბის აკადემია.

1911 წლის 6 დეკემბერს მას პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა.

1911-1913 წლებში ის მე-2 კავკასიური მსროლელთა ბრიგადის შტაბის უფროსი, ხოლო 1913 წლიდან 35-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი იყო.

1916 წლის 11 ოქტომბრიდან მიხეილ ქავთარაძე 27-ე კავკასიურ მსროლელთა პოლკის მეთაური იყო. მან მონაწილეობა მიიღო I მსოფლიო (1914-1918 წწ.) ომში.

1916 წლის 6 დეკემბერს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ, მას გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭა.

1917 წლის 24 იანვარს ის კავკასიური სასახლვრო ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი გახდა.

1918-1921 წლებში მიხეილ ქავთარაძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში მსახურობდა, სადაც სამხედრო სამინისტროს განსაკუთრებული განყოფილების უფროსი იყო. გენერალ-მაიორი მიხეილ ქავთარაძე ასევე, იყო სამხედრო სამინისტროს კანცელარიის უფროსი.

Mikheil Kavtaradze was born in October 16, 1858 in the family of the prince NikolozKavtaradze, in the village of Mereti of Gori province.

In 1878 he joined the military service. In 1899 he graduated from the General StaffAcademy.

In December 6, 1911 he was given the rank of Colonel.

In 1911-1913 he was the head of shooters' brigade headquarter and from 1913-the head of 35th Infantry Division Headquarter.

Form October 11, 1916 MikheilKavtaradze was the head of 27th Caucasian shooters' regiment. He took part in World War I (1914-1918).

In December 6, 1916 the emperor of Russia Nikolz II gave him the rank of Major-General.

In January 1917 he became the head of the staff of Caucasian Boarders Infantry Division.

In 1918-1921 Mikhail Kavtaradze served in the army of Georgian Democratic Republic where he was the chief of special department of Military Ministry. Major-General MikeilKavtaradze also was the head of Chancellor's office of the Military Ministry.

**გიორგი მიხეილის ძე  
ფურცელაძე  
მაჟორალ-მაიორი**

**GIORGI  
PURTSELADZE  
Major-general**

(1867-1924)

გიორგი ფურცელაძე დაიბადა 1867 წლის 29 ოქტომბერს თბილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ მერეთში, გენერალ მიხეილ ნიკოლოზის ძე ფურცელაძის ოჯახში. იგი მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905 წწ.) და I მსოფლიო (1914-1918 წწ.) ომებში.

1913-1914 წლებში, ის 208-ე ქვეითი, ლორის პოლკის მეთაური იყო.

1914 წელს მას პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა. იმავე წლიდან ის 207-ე ქვეითი ასალ ბაიაზეტის პოლკის მეთაურად დანიშნეს.

1915 წელს გიორგი ფურცელაძე 84-ე ქვეითი შირვანის პოლკის მეთაური გახდა.

1915 წელს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ, მას გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში.

1918-1921 წლებში ის მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში. 1920-1921 წლებში ქალაქ ბათუმის ციხე-სიმაგრის კომენდანტი იყო. 1921 წლის თებერვალ-მარტში, ის

GiorgiPurtseladze was born in October 29, 1867 in the family of General Mikheil Purtseladze, in the village of Mereti, Gori province. He participated in Russia-Japan war (1904-1905) and World War I (1914-1918).

In 1913-1913 he was the head of Lori 208th Infantry regiment.

In 1914 he was given the rank of Colonel. The same year he was appointed as the chief of New Biazeti 207th Infantry Regiment.

In 1915 GiorgiPurtseladze became the chief of Shirvani 84th Infantry regiment.

In 1915 the Emperor of Russia Nikoloz II granted him with the rank of major-general. After the revolution of 1917 he returned in Georgia.

In 1918-1921 he served in the Army of Georgian democratic republic. In 1920-1921 he was the commandment of Batumi Fortress. In February-March of 1921 he was the



გახლდათ ქ. ფოთის ყველა სამხედრო ნაწილის მეთაური.

გენერალ-მაიორი გიორგი მიხეილის ძე ფურცელაძე 1915 წელს დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის მე-4 ხარისხის, წმ. ვლადიმერის მე-3 ხარისხის და წმ. ანას მე-2 ხარისხის ორდენებით.

1924 წლის 28 აგვისტოს გენერალ-მაიორი გიორგი მიხეილის ძე ფურცელაძე დააპატიმრეს ბოლშევიკებმა და დახვრიტეს ქ. ბათუმში.

head of all the military units of the town of Poti.

In 1915 Major-General Giorgi Purtseladze was awarded with order of St. George Fourth Rank, Order of St. Vladimir Third Rank, Order of St. Anna Second Rank

In August 28, 1924 Major-General Giorgi Purtseladze was arrested and shot in Batumi.

## გიორგი მათეს ძე კერესელიძე გენერალი

## GIORGI KERESOLIDZE General

(1883-1943)

გიორგი მათეს ძე კერესელიძე დაიბადა 1883 წელს ქალაქ გორში.

1913 წელს მას შტაბს-კაპიტანის წოდება მიენიჭა.

1916 წელს მან თურქეთში „ქართული ლეგიონი“ დააარსა და მისი პირველი მეთაური იყო.

1918-1921 წლებში ის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში მსახურობდა.

1920 წელს მას გენერლის წოდება მიანიჭეს.

1921 წლიდან ის ემიგრაციაში იყო, ცხოვრობდა გერმანიაში. 1943 წლის 23 ნოემბერს

გიორგი მათეს ძე კერესელიძე დაიღუპა ბერლინში, დაბომბვის დროს, რომელსაც ინგლისის ავიაცია აწარმოებდა.

Giorgi Kereselidze was born in 1883 in Gori.

In 1913 he was given the rank of Captain.

In 1916 he founded “Georgian Legion” in Turkey and was the first head of the legion.

In 1918-1921 he served in the army of Georgian Democratic Republic.

In 1920 he was given the rank of General.

In 1920 he emigrated in Germany. He died in November 23, 1943 while bombing Berlin by English aircraft.





**ალექსანდრე იაკობის ძე  
ეგნატაშვილი  
გენერალ-ლეიტენანტი**

**ALEKSANDRE  
EGNATASHVILI  
Lieutenant-General**

(1887-1948)

ეგნატაშვილების გვარის მრავალმა ღირსეულმა წარმომადგენელმა დაიკავა საპატიო ადგილი საქართველოს მრავალჭირნახულ ისტორიაში. მე-18 საუკუნის მეორე მახევარში გამოჩენილან ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე. „ბერი ეგნატაშვილი საკმაოდ ცნობილი მწიგნობარი და ისტორიკოსი ყოფილა. იგი განეკუთვნებოდა აზნაურთა წოდებას“ (კორელები“. ი. აივაზიშვილი, გ. ალავერდაშვილი. 1999 წ.)

საისტორიო წყაროებში საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი სიმონ ეგნატაშვილიც – მწიგნობარი, მთარგმნელი, მოსკოვ-პეტერბურგის ქართული დიასპორის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მას შეუდგენია ქართულ-რუსული ლექსიკონიც, რომელმაც, სამწუხაროდ, დღევანდლობამდე ვერ მოაღწია. XIX საუკუნის მიწურულის და XX საუკუნის დასაწყისში კი საზოგადოების ყურ-

Many prominent representatives of the surname of the Egnatashvili took honorable part in the history



of Georgia. They appeared in the society in the second half of the XVII century. “Monk Egnatashvili was a well-known literary man and historian. He belonged to the rank of Prince” (“The Gori People” I.Aivazishvili, G. Alavaerdashvili, 1999)

Simon Egnatashvili-a literary man, translator, a prominent representative of Georgian Diaspora of Moscow-Petersburg, took great part in the historical sources. He compiled Georgian-Russian dictionary which unfortunately could not reach up to present time. At the end of the XIX century and at the beginning of the XX century a boxer and wrestler-IakobEgnatashvili appeared in the center of the society’s attention. He was a man with a giant

ადლების ცენტრში მოექცა მოკრივე და მოჭიდავე იაკობ ეგნატაშვილი. გოლიათური აღნაგობის კაცი ყოფილა იაკობი – ერთთავად კეთილმოსურნე გამომეტყველებით, ხორბლისფერი სახით, დარბაისლური მიხვრა-მოხვრით და ძლიერი ბუბუნა ხმით, მუდამ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი.

სწორედ ამ დეკაცის ერთ-ერთი შვილი გახლდათ ალექსანდრე ეგნატაშვილი, მომავალი გენერალ-ლეიტენანტი, საზოგადოებრივ და სამეურნეო სფეროების მართვის ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გამტკიცებაში, ფაშიზმის წინააღმდეგ თავგანწირულ ბრძოლებში და საბოლოო გამარჯვებაში.

ამონაწერი წიგნიდან „გორელები“ (ი. აივაზიშვილი, გ. ალავერდაშვილი, 1999 წ. თბ. „მერანი-3“): „...ალექსანდრე (საშა) ეგნატაშვილი ყმაწვილკაცობიდანვე განიმსჭვალა სიძულვილით რუსეთის თვითმპყრობელობის მიმართ და აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. იგი არაერთგზის დააპატიმრეს მეფის მოხელეებმა და ციხეში გამოამწყვდიეს, თუმცა უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელი ვერ ააღებინეს; ალექსანდრეს ბინები რევოლუციონერთა საიმედო თავშესაფა-




**ალექსანდრეს მამა იაკობი  
Aleksandre's father Iakob**

body-built, with a kind look, dark-complexion, noble manners and strong voice. He was always dressed up in Chokha-Akhalukhi (national Georgian dressing).

The future Lieutenant-General Aleksandre Egnatashvili was one of the sons of this man. He was the man with the gift of managing social-economical spheres, who made great deal in strengthening self-defense of the country, in fierce battles against fascism and final victory as well.

An extract from the book “The





**მოჭიდავე ალექსანდრე  
A wrestler-Aleksandre**

რი იყო მუღამ“.

ალექსანდრე, მამის მსგავსად, გამორჩეული ყოფილა განსაკუთრებული ფიზიკური ძალით. იმავდროულად, კარგად ფლობდა ჭიდაობის ხელოვნებას და არაერთი წარმატებისთვისაც მიუღწევია. სპორტის ისტორიას შემონახული აქვს ცნობა ალექსანდრე ეგნატაშვილისა და მაშინდელი მსოფლიოს ჩემპიონის ვახტანგის შერკინების თაობაზე. შეხვედრა ფრედ დამთავრებულა.

1930 წლიდან ალექსანდრე ეგნატაშვილი სამუშაოდ გადაჰყავთ

Gori People” (I. Aivazishvili, G. Alavardashvili, 1999, Tbilisi, “Merani-3”): “.....Aleksandre (Sasha) Egnatashvili had been filled with hatred to the occupational affairs of Russia since his early years and took active part in revolutionary movements. He was arrested several times by the King’s men though he never gave up struggle against injustice; Aleksandre’s apartments were always a reliable shelter for revolutionaries.”

Aleksandre, like his father, had physical strength. At the same time he owed the art of wrestling and had a number of successes. The history of sport has kept notes about the of Aleksandre Egnatashvili and the world champion of that time-Vakhturov. The event ended in a draw.

From 1930 Aleksandre Egnatashvili was sent to work in Moscow where he fulfilled very responsible governmental duties in various spheres. Simultaneously he did very important affairs in many offices of the Crimea military district.

Years passed and Aleksandre Egnatashvili was formed as a successful military or social person. An award was added to an award, a rank to a rank and he made great steps to

მოსკოვში, სადაც ასრულებდა მეტად საპასუხისმგებლო სამთავრობო მოვალეობას სხვადასხვა სფეროში. პარალელურად ასრულებდა მნიშვნელოვან სახელმწიფო დავალებებს ყირიმის სამხედრო ოლქის მრავალ დაწესებულებაში.

გადიოდა წლები და ალექსანდრე ეგნატაშვილიც ყალიბდებოდა როგორც წარმატებული სამხედრო, სამეურნეო თუ საზოგადო მოღვაწე. ჯილდოს ჯილდო ემატებოდა, წოდებას – წოდება და იგიც დიდი ნაბიჯებით მიიწევა სამსახურებრივი კარიერის ზედა საფეხურებისკენ.

1938 წლიდან ალექსანდრე ეგნატაშვილი გადაჰყავთ სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, სადაც ერთხელ კიდევ გაიბრწყინა მისმა, როგორც ორგანიზატორის, ნიჭმა.

ალექსანდრე ეგნატაშვილი მთელ თავის ცოდნასა და ენერჯიას უანგაროდ ახმარდა ქვეყნის უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას. მან განსაკუთრებით ისახელა თავი დიდი სამაჟულო ომის მრისხანე დღეებში. იგი ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ იმ დაცვითი სისტემების აგებისა, რომელმაც უზრუნველყო მოსკოვის დაცვა 1941-1942 წლების ზამთარში. ამავე პერიოდში იგი კურირებას უწევდა მოტომსროლელთა გვარდიული დივიზიის

high level of his career.

From 1938 Aleksandre Egnatashvili was transferred to a very responsible position of state security where his gift of an organizer was brightly shown.

Aleksandre Egnatashvili used all his knowledge and energy for the welfare and security of the country. He showed himself in the days of Great patriotic War. He was one of the organizers of those defensive systems which maintained the defense of Moscow in the winter of 1941-1942. At the same period he was looking after the actions of motor-shooting divisions. For this he got the

For great and state Aleksandre Egnatashvili has got many battle awards among them are: order of “Red Flag” (two), order of “Kutuzov” and Order of “Red Star”.

At the final stage of the Second World War and post war years Aleksandre Egnatashvili, simultaneously with his main job, was the leader of two big economical objects of state importance (the Crimea-Foross and Moscow suburb), the direct duty of which was to take care and guarantee the family members of the po-

ქმედებებს, რისთვისაც მიღებული აქვს უმაღლესი მთავარსარდლის, ი. სტალინის მადლობა.

სამშობლოს წინაშე დიდი და-მსახურებისა და უნგარო სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისთვის ალექსანდრე ეგნატაშვილს მიღებული აქვს მრავალი საბრძოლო ჯილდო, მათ შორის „წითელი დროშის“ (ორი), „კუტუზოვის“ და „წითელი ვარსკვლავის“ ორდენები.

მეორე მსოფლიო ომის ბოლო ეტაპზე და ომის შემდგომ წლებშიც ალექსანდრე ეგნატაშვილი, ძირითადი საქმიანობის პარალელურად, ხელმძღვანელობდა ორ დიდ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამეურნეო ობიექტს (ყირიმი-ფოროსი და მოსკოვის გარეუბანი), რომელთა პირდაპირი დანიშნულება იყო პოლიტიუროს წევრთა ოჯახებზე ზრუნვა და მათი უზრუნველყოფა.

ალექსანდრე ეგნატაშვილმა და მისმა მეუღლემ, ქალბატონმა მარიამ ხარატიშვილმა სამი შვილი გაზარდეს – თამარი, გიორგი და ეთერი (ცხოვრობს მოსკოვში, პენსიონერი).

ალექსანდრეს შვილიშვილი (თამარის შვილი), გურამ რატიშვილი (ამჟამად ეწევა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს სპორტის აკადემიაში) იგონებს ორ საინტერესო ეპიზოდს პაპის ცხოვრებიდან. მოსკოვის ახლომდებარე მეურნეობაში თურმე სპეციალურად



**მეუღლესთან, მარიამ ხარატიშვილთან ერთად**  
**With his wife**  
**Mariam Kharatishvili**

litical bureau.

Aleksandre Egnatashvili and his wife, Mariam Kharatishvili, grew up three children-Tamar, Giorgi and Eter (now lives in Moscow, is a pensioner).

Aleksandre's grandson (Tamar's son), Guram Ratisvili (leads active pedagogical affairs at Sports Academy of Georgia), recalls two interesting episodes from the life of his grandfather-In a farm nearby Mos-

სტალინისთვის ზრდიდნენ ხბოს ისე, რომ რვა თვის განმავლობაში არ მიუციათ რძის გარდა სხვა საკვები. დიდ მოლოდინშიმყოფ სტალინამდე ხბოს კერძი არ მიუტანიათ – ექიმებს დაუწუნებიათ.

ი. სტალინს უთხოვია ალექსანდრე ეგნატაშვილისთვის – მამაჩემს ერთი შეგირდი ჰყავდა, დათა გასიტაშვილი. გამიგე თუ ცოცხალია და ჩამოიყვანე, ნახვა მინდაო.

ექვსი თვე უცხოვრია დათას ალექსანდრეს ოჯახში, სანამ სტალინი მოიცლიდა და შეხვდებოდა.

ბატონი გურამ რატიშვილი იმასაც იგონებს, რომ პაპამ კარგი მოლხენა იცოდაო მეგობრების წრეში.

როგორც წესი, სახელმწიფო უშიშროების სამსახურების მაღალი რანგის ჩინოსნების მოღვაწეობის შესახებ მონაცემები დიდი ხნით საიდუმლოებით არის ხოლმე მოცული. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ გამოძიებურდება ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი რამ გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე ეგნატაშვილის საინტერესო ცხოვრებიდან.

ალექსანდრე ეგნატაშვილი გარდაიცვალა 1948 წელს. დაკრძალულია მშობლიურ ქალაქ გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

cow a calf was being grown specially for Stalin. During eight months it was fed only by milk. Stalini was looking forward to tasting a dish made of the veal but no dish was served to Stalin, doctors had refused it as it appeared to be bad for eating.

I. Stalini asked Aleksandre Egnatashvili that his father had had an apprentice-Data Gasitashvili. Stalin wondered whether he was alive as he wished to see him. Data had lived six months in Aleksandre's family until Stalin found time to meet him.

Guram Ratishvili also recalls that his grandfather enjoyed being with his friends and always had a good time at big dinner parties.

As a rule, the data and facts about the affairs of the persons serving for state security belong to secret materials for a long time. Only many years later many interesting and important facts will be revealed from the life of Lieutenant-General AleksandreEgnatashvili.

Aleksandre Egnatashvili died in 1948. He is buried in his native town-Gori, in Kvernaki Cemetery.

**იოსებ ბესარიონის კე  
ჯუღაშვილი – სტალინი  
გენერალისიგუსი**

**IOSEB JUGASHVILI  
STALIN  
Generalissimos**

(1879-1953)

კაცობრიობის ისტორია იცნობს სხვადასხვა ერისა თუ ქვეყნის ასეულობით წარმომადგენელს, რომლებმაც ათასწლეულების განმავლობაში დიდი როლი ითამაშეს მსოფლიოში ძალთა გადანაწილების, ახალი საზოგადოებრივი ფორმაციისა და იდეოლოგიური მიმართულებების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. მათ ხშირად ბელადებს უწოდებდნენ, ანუ ადამიანებს, რომლებიც საყოველთაოდ არიან აღიარებული, როგორც ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოძრაობის, მიმდინარეობის, პარტიის, ხალხის, სახელმწიფოს ხელმძღვანელები და სულისჩამდგმელები.

იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი) განეკუთვნება ასეთი ადამიანების ელიტარულ კოჰორტას და, ისტორიკოსების აზრით, სამართლიანადაც ატარებდა პროლეტარიატის ბელადის საამაყო და საპატიო სტატუსს.

ასეულობით მხატვრული თუ

The history of mankind knows therepresentatives of various nationalities and countries who during millenniums played great role in the process of separation of power and forming and developing new social formations and ideological directions in the world. Often they were called leaders, that is, the persons who are recognized as inspirers of any social movement, and heads of parties, people and state.

Ioseb Jughashvili (Stalin) belongs to the elite cohort of such people and as historians admit he justly was given the honorable title of the leader of proletarians.

Hundreds of documentary and feature films are made, thousands of books are written and millions of publicist essays are dedicated



დოკუმენტური ფილმია გადაღებული, ათასობით წიგნია დაწერილი და მილიონობით პუბლიცისტური წერილია მიძღვნილი სტალინის ფენომენისადმი, მაგრამ, როგორც თანამედროვე პოლიტიკური მიმოხილველები და ისტორიკოსები აღნიშნავენ, ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გამოძიებული და ცნობილი იოსებ ჯუღაშვილის (სტალინის) პირადი ცხოვრებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ სამხედრო მოღვაწეობის მრავალი დეტალი და ნიუანსი. ისტორიკოს-მკვლევარებს და ჟურნალისტებს, როგორც ჩანს, საქმე ჯერ კიდევ ბევრი აქვთ. ერთი რამ კი დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იოსებ ჯუღაშვილმა (სტალინმა) სამუდამოდ დაიძველრა ადგილი მსოფლიოს ისტორიაში უდიდეს ადამიანებად ცნობილთა შორის.

მსოფლიოში აღიარებული პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე (დიდი ბრიტანეთი) უინსტონ ჩერჩილი წერს: „...დიდი ბედნიერება იყო რუსეთისათვის, რომ უმძიმესი განსაცდელის ჟამს ქვეყანას სათავეში ჩაუდგა გენიოსი და უდრეკი მხედართმთავარი სტალინი... სტალინი იყო უჩვეულო ენერჯისა და უდრეკი ნებისყოფის ადამიანი; მკვახე, სასტიკი და დაუნდობელი საუბარში. უწინარეს ყოვლისა, ჰქონდა დიდი იუმორისა და სარკაზმის გრძობა

to the phenomena of Stalin, but as modern political reviewers and historians say many details and nuances concerning his private life and social and military affairs are not displayed yet. Historian-researchers and journalists seem to have much work ahead. One thing can be said for sure that Ioseb Jughashvili (Stalin) occupied a prominent place among world known great people in the world history.


The world recognized politician and statesman (Great Britain) Winston Churchill wrote: "...It was great luck for Russia that Stalin, such genius and strong military leader, became the governor of the country in the period of hardship....Stalin was a person of great energy and strong will; severe and ruthless in conversation. But he owed a great sense of humor, sarcasm and the ability to read and perceive ideas. This power was so strong in his personality that he was unique among the leaders of states and nationalities of all the time... he was outstanding with his deep, logically cognitive wisdom. He was the incomparable master of finding a way out of any desperate situation...he was always modest and never had illusions. He



და უნარი, ზუსტად აღეჭვა აზრები. ეს ძალა იმდენად დიდი იყო სტალინის პიროვნებაში, რომ იგი განუყოფელად გვესახებოდა ყველა დროის სახელმწიფოებისა და ერების ხელმძღვანელთა შორის... იგი გამოირჩეოდა ღრმა, ყოველგვარ პანიკას მოკლებული, ლოგიკურად გაცნობიერებული სიბრძნით. იგი იყო უბადლო ოსტატი, რომელიც უტყუარად პოულობდა უძნელეს მემენტებში ყველაზე გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსვლის გზას... იგი ყოველთვის თანაბრად თავშეკავებული იყო და არასდროს აჰყვოდა ილუზიებს. ის გახლდათ უჩვეულოდ რთული პიროვნება. მან შექმნა და დაიმორჩილა ვეებერთელა იმპერია. ეს იყო კაცი, რომელიც თავის მტერს მუსრავდა თავისივე მტრის ხელით. სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა მსოფლიოში – კაცი, რომელმაც ჩაიბარა ხისკავიანი რუსეთი და დატოვა ატომურბომბებიანი სახელმწიფო. ისტორია, კაცობრიობა ასეთ ადამიანებს არ ივიწყებს“.

აი, სტალინის ასეთი პორტრეტი დაზატა უინსტონ ჩერჩილმა.

იოსებ სტალინის ბიოგრაფია ცნობილია თითქმის მთელი მსოფლიოსათვის, მაგრამ მაინც მოვიყვანთ მისი პირადი ცხოვრებისა და მრავალპროფილიანი მოღვაწეობის ზოგიერთ მნიშვნელოვან მონაცემს.



1902

was unusually difficult person. He created and commanded a huge empire. He was the man who annihilated the enemy by his own enemy. Stalin was the greatest, incomparable dictator in the world, the man who accepted wooden plough Russia and changed it into a state with atomic bombs. History and mankind never forgets such people.”

So, Winston Churchill portrayed Stalin this way.

Ioseb Jughashvili’s biography is known to the world but, here we will bring some important facts from his private life and multi-pro-



მეუღლე  
 ეკატერინე სვანიძე-ჯუღაშვილისა  
 Wife: Ekaterine Svanidze-Jughashvili



მეუღლე  
 ნ. ალილუევა  
 Wife: N. Alilueva



იაკობი  
 Iakob



შვილები:  
 Children:  
 სვეტლანა  
 Svetlana



ვასილი  
 Vasil



იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი) დაიბადა ქ. გორში 1879 წლის 21 დეკემბერს ბესარიონ ივანეს ძე ჯუღაშვილისა და ეკატერინე (კეკე) გიორგის ასულ გელაძის ოჯახში. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ღარიბ მუშურ-გლეხურ ოჯახში დაბადებული ბიჭი, შედარებით მოკლე ისტორიული პერიოდის შემდეგ, მსოფლიოს მოეკლინებოდა უდიდეს პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწედ. მაგრამ მანამდე იყო სწავლის, შრომისა და ბრძოლის უძნელესი წლები.

გორის სასულიერო სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც გაირიცხა (1899 წ.) რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. იჯდა ბათუმის, ქუთაისისა და ბაქოს ციხეებში. რამდენჯერმე იქნა დაპატიმრებული და აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლებული (1902, 1904, 1909, 1910, 1912, 1913 წ.წ.), საიდანაც (ვოლოგდა, სოლვიჩეგორსკი, ნარიმსკი, ტურუხანსკი, ნოვაია უდა) ყოველთვის გაქცევით აღწევდა თავს. რუსეთის ოქტომბრის (1917 წ.) რევოლუციის დროს იყო მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

1917-1939 წლები ძალიან დატვირთული და მრავალფეროვანი გახლდათ იოსებ სტალინისათვის ფუნქციურად და თანამდებობრივად: ინიშნება სახალხო კომისართა საბ-

ფილინგ activity.

Ioseb Jughashvili (Stalin) was born in December 21, 1879 in Gori, in the family of Besarion-Jughashvili and Ekaterine (Keke) Geladze. That time nobody could have imagined that the boy, born in the family of a worker and a peasant, after a short historical period would become the greatest political and military person of the world, but before this there were difficult years of study, work and struggle.

After finishing Gori Spiritual School he continues his studies in Tbilisi Spiritual Seminary. He was excluded from the seminary in 1899 for participating in revolutionary movement. He was arrested and was in Batumi, Kutaisi and Baku jails. He was exiled several times in East Siberia (1902, 1904m 1909, 1910 1912, 1913) from where he always managed to escape (Vologda, Solvichegorsk, Narimsk, Turukhanski, NovaiaUda). He was one of the leaders of the leaders of October revolution (1917).

The period of 1917-1939 was too complicated and diverse for Ioseb Stalin from the point of function and position: he was appointed as the chairman of the council

ჭოს (სახკომი) თავმჯდომარედ, ქმნის ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო საბჭოს, ინიშნება სამხრეთის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს (სრს) თავმჯდომარედ, დაინიშნა სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრად, ინიშნება სამხრეთისა და დასავლეთის ფრონტების სრს-ს წევრად, დაჯილდოვდა საბრძოლო წითელი დროშის ორდენით, აირჩიეს პოლიტბიუროს წევრად, დაამტკიცეს ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრად, აირჩიეს ცკ-ის გენერალურ მდივნად, დაჯილდოვდა წითელი დროშის მეორე ორდენით, არჩეულ იქნა უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, არჩეულ იქნა მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად და სხვა.

სტალინისთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის, საზოგადო და სამხედრო მოღვაწისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი ისტორიული ღირებულებების პერიოდი განლდათ XX საუკუნის 30-იანი წლების დასასრული და 40-იანი წლების დასაწყისი, როცა ევროპაში დენტის სუნი დატრიალდა და აშკარად იკვეთებოდა საშინელი მეორე მსოფლიო ომის კონტურები.

სწორედ ამ წლებში მაქსიმალურად გამოჩნდა და გამოვლინდა იოსებ სტალინის პიროვნული შესაძლებლობები.

of public commissioners, creates a military council of North Caucasus, was appointed on the position of the chairman of military revolutionary council of Southern front, was appointed as a public commissioner of state control, was appointed as a member of military revolutionary council of southern and west fronts. He was awarded with the order of Red Flag of Combat, he was elected as a member of political bureau, was approved on the position of a public commissioner of national affairs, was elected on the position of the general-secretary of the Central committee, was awarded with the second Order of Red Flag, was elected as a deputy of Supreme Soviet, was given the title of a hero of Socialist labor, was elected as an honorable member of Academy of Science and so on.

The period of late 30s and early 40s of the XX century was very important and of great historical value for Stalin as a politician, public and military person. In this period there was felt smell of gun powder in the air in Europe and the outlines of drastic World War II were vividly identified.

Just in these years Stalin's per-



**იალტის კონფერენციაზე (ჩერჩილი, რუზველტი, სტალინი)**

**At the Yalta Conference (Churchill, Roosevelt, Stalin)**

მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყანა (საზოგადოება) ჯერ კიდევ მყარად ვერ იდგა ფესვებზე, თანდათან ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და სხვა უმნიშვნელოვანესი დარგები, მათ შორის სამხედრო მრეწველობაც და ა.შ.

მეორე მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე, საბჭოთა კავშირის შედარებით მოუზნადებლობის მიუხედავად, ანტიფაშისტურმა კოალიციურმა ძალებმა მანც შესძლეს გერმანული ფაშიზმის დამარცხება. უდიდეს ის-

sonal possibilities were fully detected.

The first socialist country of the world (society) was not able to stand steadily, agriculture, economy, industry and other important branches, military industry among them, was being developed by and by.

At the beginning of the World War II though the Soviet Union was not prepared, antifascist coalition forces were able to defeat the Ger-

ტორიულ გამარჯვებაში ლომის წილი მიუძღვის ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალეროვან შეიარაღებულ ძალებს, რომლის უმაღლესი მთავარსარდალი გახლდათ, მომავალში გენიოსად წოდებული იოსებ ბესარიონის ძე სტალინი.

რა სასიხარულო და საამაყოა, რომ მსოფლიოში თითებზეჩამოსათვლელ გენერალისიმუსთა შორის ღირსეული ადგილი უკავია გორელ კაცს, სტალინს, რომელმაც მართლაც რომ ისტორიული კვალი დაამჩნია მსოფლიოში ძალთა გადანაწილების მუდმივადცვალებად რუკას.

ომის შემდგომ წლებშიც ბრწყინავდა სტალინის პიროვნება. დაჩქარებული ტემპებით შეუძლებოდა ომით მოყენებული ჭრილობები, სწრაფად ვითარდებოდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, უმჯობესდებოდა მოსახლეობის ცხოვრების პირობები, ვითარდებოდა და ძლიერდებოდა სამხედრო პოტენციალი, მეცნიერებმა გაშიფრეს ატომური ენერჯის მშვიდობიანი აღმშენებლობის მიზნით გამოყენების შესაძლებლობები. მწერლობა, კულტურა და ხელოვნება, განათლება, სპორტი და მრავალი სხვა დარგი დაადგა უმაღლესი მწვერვალებისკენ მიმავალ ბილიკებს და ა.შ.

ყოველივე ამის სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი და აქტიური ხელმძღვანელი კვლავ გახლდათ იოსებ სტალინი, რომლის ყურ-

man fascism. In this great historical victory lion's share belongs to multinational armed forces of former Soviet Union and its Supreme Commander-in-Chief, later called genius Ioseb Stalin.

How pleasant and glorious it is that among several Generalissimos of the world a prominent place belongs to Stalin, a man from Gori, who made really historical trace on the eternally changeable map of separation of power in the world.

The person of Stalin sparkled in post-war years. The wounds got from the war were being healed rapidly, all the branches of public economy were being developed and strengthened, the living conditions were being improved and the military potential was strengthening. Scientists discovered the possibility of using atomic energy for peaceful reasons. The writing art, culture, education, sport and many other branches started off to highest points of their development.

The inspirer, organizer and active leader of all these issues was Ioseb Stalin, who never missed any problem and issue of social development.

In 1943-1953 Ioseb Stalin was granted the rank of Marshal of the



**მშობლები - ეკატერინე გელაძე, ბესარიონ ჯუღაშვილი**

**Parents - Ekaterine Geladze, Besarion Jughashvili**

ადლების მიღმა არ რჩებოდა საზოგადოებრივი განვითარების არცერთი საკითხი.

1943-1953 წლებში იოსებ სტალინს მიენიჭა საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება; დაჯილდოვდა სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენით, გამარჯვების ორი ორდენით, მიენიჭა გენერალისიმუსობა, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, აირჩიეს ცკ-ის პრეზიდიუმის წევრად, ხელმძღვანელობდა საბჭოთა დელეგაციებს თეირანის, იალტის, პოტსდამის კონფერენციებზე, დაინიშნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, შეიარაღებული ძალების მინისტრად და უმაღ-

Soviet Union; was awarded with order of Suvorov First Rank, two Orders of Victory, was given the rank of Generalissimos, the title of a hero of the Soviet union, was elected as a member of the Presidium of the Central Committee,. He was leader of the delegations at Teheran, Yalta and Potsdam conferences. He was appointed as the head of the Council of Ministers, as the Ministry of Armed Forces and the Supreme Commander-in-Chief.

In March 5, 1953 Ioseb-

ლეს მთავარსარდლად.

1953 წლის 5 მარტს იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი) გარდაიცვალა დღემდე საეჭვო ვითარებაში (არაოფიციალური ვერსიით იგი გარდაიცვალა 2 მარტს გამთენიისას).

სტალინის ნეშტი დაასვენეს წითელ მოედანზე, მაზოლეუმში, საიდანაც მისი დაუძინებელი მტრის, ნ. ხრუშჩოვის ინიციატივით, 1961 წელს გამოასვენეს და დაკრძალეს კრემლის კედელთან.

სტალინს ორი მეუღლისგან (ეკ. სვანიძე, ნ. ალილუევა) ჰყავდა სამი შვილი – იაკობი (1907-1943), ვასილი (1920-1962) და სვეტლანა (1926-1998).

სიკვდილის შემდეგ სტალინის პიროვნების მიმართ მრავალი ჭორი და უსამართლო ცილისწამებების ტალღა აგორდა. მტრები მას საფლავშიც არ ასვენებენ. აკი თავად სტალინს ეკუთვნის სიტყვები: „...ვიცი, როცა მოკვდები, საფლავზე ნაგვის გორას დამიყენებენ, მაგრამ ისტორიის ქარი უმოწყალოდ გაფანტავს ამ ნაგავს“.

Jughashvili (Stalin) died in a suspicious condition (according to non-official version he died at dawn of March 2).

Stalin's corps was laid at the red Square, in the Mausoleum. In 1961 after the initiative of his implacable enemy, N. Khrushchov, his corps was taken from the Mausoleum and was buried at the wall of the Kremlin.

Stalin had three children from his two wives (Ek. Svanidze, N. Alilueva)-iakob (1907-1943), Vasil (1920-1962) and Svetlana (1926-1998).

After his death a lot of unfair defamations and gossips spread. His enemies even do not make him stay in peace in his grave. The quotation below belongs to Stalin himself: "...I know, after my death a hill of rubbish will be put on my grave, but the wind of history will scatter this rubbish mercilessly."



**შალვა ლავრენტის ძე  
ჭანკოტაძე  
ბენერალ-მაიორი**

**SHALVA  
CHANKOTADZE  
Major-General**

(1902-1965)

2002 წელს საქართველოს ტელევიზიამ შექმნა დოკუმენტური სატელევიზიო ფილმი სახელწოდებით „ფრთები“, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი მფრინავის, საქართველოში სამოქალაქო ავიაციის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ნიჭიერი ორგანიზატორისა და უამრავი საბრძოლო ორდენისა და მედლის კავალერის, ავიაციის გენერალ-მაიორის შალვა ლავრენტის ძე ჭანკოტაძის დაბადებიდან 100 წლისთავს.

ფილმში ნათქვამია, რომ ისტორიას ქმნიან ძლიერი პიროვნებები და რომ, სწორედ ასეთი გახლდათ კაცი-ლეგენდა, შალვა ჭანკოტაძე, რომელმაც XX საუკუნის 20-30 წლებში საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სამოქალაქო ავიაციის დაფუძნებას და მის შემდგომ განვითარებას. იდგა რა, მაშინდელი საქართველოს სამოქალაქო ავიაციის შტურვალთან, დაუღალავად იღწვოდა სრულიად ახალი დარგის ასაშენებლად. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სათავეში ედგა სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს და

In 2002 the television of Georgia made a documentary film “The Wings”, which was dedicated to the



100th anniversary of the outstanding pilot, one of the founders of civil aircraft of Georgia, gifted organizer, owner of many battle orders and medals, Major-General of the Aircraft ShalvaChankotadze.

It is mentioned in the film that history is made by strong persons and just such

person was the man-legend Shalva Chankotadze, who in 20-30s of the XX century made foundation and development of civil aircraft in Georgia. Standing at the roots of aircraft he was doing his best for implementing quite a new branch. For a long time he was the head of the civil aircraft and made important mite in fulfilling new structure and its effective functioning.

The first so called “medical fly” in Mestia, for taking a serous sick man

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალი სტრუქტურის სრულყოფისა და ეფექტიანი ფუნქციონირების სავილიშვილო საქმეში.

მის სახელთანაა დაკავშირებული: პირველი ე.წ. „სამედიცინო გაფრენა“ მესტიაში მძიმე ავადმყოფის თბილისში გადმოსაყვანად (იმ დროისთვის არსებული სამოქალაქო თვითმფრინავებით 5 კილომეტრზე აფრენა საკმაოდ რთული და რისკით აღსავსე საქმე განლდათ).

1938 წელს კავკასიონის გადმოლახვისას დაიკარგა როსტოვიდან მომავალი თვითმფრინავი, რომელსაც მართავდა შალვას მეგობარი. შ. ჭანკოტაძე და ა. ისკანდერიანი გაფრინდნენ კოლეგის მოსაძებნად, მაგრამ მათმა თვითმფრინავმაც განიცადა ავარია. მწვემსებმა სამი დღის შემდეგ იპოვეს ისინი. ისკანდერიანმა ორივე ფენი დაკარგა და საწოლს მიეჯაჭვა. შალვა ჭანკოტაძე კი ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ დაუბრუნდა ავიაციას.

შალვა ჭანკოტაძე გმირულად იბრძოდა მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზეც. მისმა საავიაციო სამხედრო პოლკმა არაერთი ფრიად წარმატებული ოპერაცია ჩატარა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სტალინგრადის გარშემო (1942) განლაგებული გერმანელთა შვიდი აეროდრომის განადგურება და ოეგოსლავიის ლიდერის მარშალ ბროზ ტიტოს გამოყვანა ფაშისტების მიერ აღყაშმორტყმული ტერიტორიიდან.

to Tbilisi, is connected to his name. (atthat period flying up to 5 kilometers height by existing civil planes was quite difficult and risky).

In 1938 while flying over the Caucasus a plane flying from Rostov which was conducted by Shalva's friend, got lost. Shalva Chankotadze and A. Iskanderiani flew to look for the colleague but their plane had an accident too. Three days later shepherds found them. Iskanderian lost both feet and remained bounded to bed. Shalva Chankotadze after a long treatment returned to aviation.

Shalva Chankotadze fought bravely on the fronts of World War II. His aircraft regiment conducted many successful operations. Among the operations the destruction of seven airfields of the Germans deployed around Stalingrad (1942) and taking the leader of Yugoslavia Marshal Broz Tito from the territory surrounded by the fascists are the most important.

Soldiers greatly respected the personality of Shalva Chankotadze as the military leader owing brave and principal character and as an incomparable organizer and leader of air battles.

In the above mentioned film it is

მებრძოლები დიდ პატივს სცემდნენ შალვა ჭანკოტაძის პიროვნებას, როგორც გამბედავ და პრინციპული ხასიათის მქონე სამხედრო ხელმძღვანელს და საჰაერო ბრძოლების უბადლო დამპყვემავს და წარმართველს.

ზემოაღნიშნულ ტელეფილმში ნათქვამია, რომ შალვა ჭანკოტაძეს თანამებრძოლები მოფერებით უწოდებდნენ „ჩანკოს“ და ცის ჩაპაევს (სამოქალაქო ომის გმირი).

სიმბოლურია და ხაზგასასმელი ის გარემოება, რომ საზოგადოების მიერ შალვა ჭანკოტაძის დაბადებიდან ასი წლისთავის აღნიშვნა ხდებოდა მაშინ, როდესაც ზოგადად სამოქალაქო ავიაციაც თავისი ასი წლისთავის არსებობას ზემოთბდა.

შალვა ჭანკოტაძე დაიბადა ქ. გორში, 1902 წლის 24 იანვარს ლავრენტი ჭანკოტაძისა და მელანია კავკასიძის მრავალშვილიან (ბიძინა, შალვა, ვახტანგი, დარიკო, ვერა, კატუშა, თინა, თამარი) ოჯახში.

ლავრენტი ჭანკოტაძე გახლდათ სასულიერო პირი, ქრისტიანული ეკლესიის მსახური (ხუცესი). შალვა ჭანკოტაძის დედა, ქალბატონი მელანია გამორჩეული ყოფილა საუკეთესო დიასახლისობით და სამართლიანობისათვის ბრძოლის შესაშური სულისკვეთებით. გადმოცემით ცნობილია, რომ იგი მხარში ედგა და თანაუგრძნობდა რევოლუციურ მოძრაობას. მზად იყო იარაღითაც (თურმე მალულად ინახავდა „მაუზერის“ სისტემის იარაღს) დახ-



mentioned that fellow soldiers called him “Chanko” and “Chapaev of the sky” (Chapaev-the hero of civil war).

It is symbolic that celebrating the 100th anniversary of ShalvaChankotadze was going simultaneously with celebration of the 100th anniversary of civil aircraft.

Shalva Chankotadze was born in January 24, 1902 in Gori, in the large family of Lavrenti Chankotadze and Melania Kavkasidze. (Their children were: Bidzina, Shalva, Vakhtang, Dariko, Vera, Katusha, Tina, Tamar).

Lavrenti Chankotadze was a cleric, served to the Orthodox Church. Shalva Chankotadze’s mother, Melania, was a distinguished housewife and always

მარებოდა ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლებს.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, შალვა ჭანკოტაძე მოხალისის სტატუსით შედის (1922) კავკასიის სამხედრო საავიაციო დივიზიონში, ხოლო 1923 წელს წარმატებული მისაღები გამოცდების შემდეგ, ხდება ქ. კიევის საავიაციო სამხედრო სასწავლებლის მსმენელი. სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა ამით არ დაკმაყოფილდა და განათლება გააგრძელა მაშინდელი ლენინგრადის სამხედრო-საჰაერო ძალების ე.წ. თეორიულ სკოლაში. 1925 წელს მან სწავლა განაგრძო ქ. სერპუხოვის უმაღლეს საავიაციო სკოლაში.

1927 წელს შალვა ჭანკოტაძეს ენიჭება მფრინავის წოდება და მუშაობას იწყებს საავიაციო ბრიგადაში.

1931 წელს შალვა ჭანკოტაძე სამუშაოდ გადაჰყავთ ქ. ენგელსკში მფრინავთა სამხედრო სკოლის რაზმეულის მეთაურად, ხოლო 1932 წლიდან იგი უკვე საქართველოში გადმოდის და სათავეში უდგება სამოქალაქო ავიაციის რაზმეულს, მისი უფროსის რანგში. აქედან იწყება შალვა ჭანკოტაძის მდიდარი ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ეტაპი, რაც გამოიხატება ქართული სამოქალაქო ავიაციის სწრაფ განვითარებაში და ახალი საავიაციო ტექნიკისა თუ საფრენოსნო ტექნოლოგიების დანერგვაში. შრომითი მოღვაწეობის საწყის ეტაპზევე დაიშახურა მან მთავრობის მხრიდან ყურადღება

fought for justice. It is known that she supported revolutionary movement. She even had a gun ready (she kept “Mauzeri” system gun secretly) to help the warriors in the struggle against Tsarism.

After finishing secondary school, Shalva Chankotadze joins the division of Caucasian Military aircraft as a volunteer (1922) and in 1923 after passing entrance exams successfully he became a student of Kiev Aircraft Military Institution. Willing to enlarge his knowledge he continued studying at Leningrad Military-aircraft theoretical School. In 1925 he continued studies at Serpukhov High Aircraft School.

In 1927 Shalva Chankotadze was given the title of a pilot and starts working in aviation brigade.

In 1931 Shalva Chankotadze was sent to work in Engelsk on the position of a Head of the Units of Pilots Military School. From 1932 he returns to Georgia and leads the Unit of Civil aircraft. From this period starts the important stage of his biography which was expressed in implementing new aviation technologies and rapid development of Georgian civil aviation. At the starting stage of his work Shalva Chankotadze deserved

და დაფასება – იგი დაჯილდოებულ იქნა „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

1937 წელს შალვა ჭანკოტაძე ინიშნება ამიერკავკასიის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსად ვიდრე 1941 წლამდე, როდესაც დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. მან თავის მოადგილეს, გრიგოლ ჩაჩანიძეს გადააბარა უწყების ხელმძღვანელობის ფუნქცია და ერთ-ერთი პირველი ჩაება ფაშისტების წინააღმდეგ მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში.

საქართველოს სამხედრო ისტორიაში უამრავი ფაქტია დაფიქსირებული შალვა ჭანკოტაძის გმირული ბრძოლებისა და განსაკუთრებული სიმამაცისა თუ სამხედრო-საავიაციო ოპერაციების გონივრული წარმართვის შესახებ. მის მიერ მიღებული სამხედრო ორდენებისა და მედელების სიმრავლაც ზუსტად რომ დასტურია შალვა ჭანკოტაძის უდიდესი ღვაწლისა ქვეყნისა და ხალხის წინაშე. იგი დაჯილდოებულია ასევე პოლონეთის „გრიუნვალდის ვკრიით“. 1944 წელს შალვა ჭანკოტაძეს მიენიჭა ავიაციის გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ (1946 წ.) შალვა ჭანკოტაძე ინიშნება ყოფილი საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ავიაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ხოლო 1949 წლიდან იგი სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს.

attention and appreciation from the government-he was awarded with Order of “Sign of Honor”.

In 1937 Shalva Chankotadze was appointed as the Chief of Trans-Caucasus civil aviation department. He remained on this position till 1941-the beginning of World War II. He handed over the functioning of the department to Grigol Chachanidze and he himself was one of the first involved in military operations against fascists.

In the military history of Georgia many facts exist about Shalva Chankotadze’s bravery and sensible leadership of military-aircraft operations. The number of the military orders and medals are the proof of Shalva Chankotadze’s contributions to his country and people. He is also awarded with “Griunvald Cross” of Poland. In 1944 Shalva Chankotade was given the rank of Major-General of aviation.

After the end of World War II (1946) Shalva Chankotadze was appointed on the position of a deputy chief of main board of civil aviation of former Soviet Union and from 1949 till the end of his life he was the head of the Board of Civil Aviation of Georgia.



მეუღლე ქეთევანი  
His wife Ketevan

შვილი ზურაბი  
son Zurab



შვილი ირინე  
daughter Irine



ბრწყინვალე და თითოთსაჩვენებელი ოჯახი შექმნა ქალბატონ ქეთევანთან ერთად, ომებგამოვლილმა კაცმა-ლევანდამ.

შვილები – ზურაბი და ირინე დიდი განცდით იგონებენ ბატონ შალვას, აღნიშნავენ რა მის განსაკუთრებულად თბილ დამოკიდებულებას ოჯახის წევრებთან, მის ხელგამილ სტუმართმოყვარეობას და, რაც ყველაზე უფრო საამაყოა, შალვას პრინციპულობას, საქმისადმი ზომიერ სიმკაცრეს და მართლაც რომ შესაშურ სამართლიანობას ყველგან და ყველაფერში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შალვა ჭანკოტაძის ვაჟიშვილმა, ბატონმა ზურაბმა, ღირსეულად აიტაცა მამის მიერ გადმოცემული ესტაფეტა. დამთავრა რა კიევის საავიაციო ინსტიტუტი და შემდეგ რამდენიმე სხვადასხვა სასწავლებელი, სათავეში ჩაუდგა საქართველოს სამოქალაქო ავიაციას და წლების განმავლობაში მაღლააწეული ატარა ჭანკოტაძეების ოჯახური ტრადიციების ალამი.

განსაკუთრებით ამაღლევებელი განლდათ ბატონი ზურაბისთვის ის დღე, როდესაც იგი საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის რანგში, პირველად შევიდა იმ კაბინეტში, რომელშიც მისი მამა, ბატონი შალვა მოღვაწეობდა და აყალიბებდა მართლაც რომ საამაყო ქართულ სამოქალაქო ავიაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბატონ ზურაბს უფრო რთულ ვითარება-

Shalva Chankotadze made a brilliant family with Ketevan. His sons-Zurab and Irine always speak about him with great warmth and underline his warm and devoted attitude to every member of the family, his open fisted hospitality and what is more to be proud of-his principality, moderate strictness to any affair and his fairness in everything and everywhere.

It should be mentioned that his son-Zurab continued his steps worthily. He graduated from Kiev Aviation Institute and for many years carried up the flag of the Chankotadze family traditions.

Especially exiting was for Mr. Zurab the day when he, as the chief of Civil Aviation of Georgia, first entered the office where his father, Mr. Shalva had worked and was forming civil aviation of Georgia.

It should be mentioned that Mr. Zurab had to work in more complicated situation (Georgia gained independence, separated from general structure of the Soviet Union, many problems concerning new technical means and navigation systems and developing corresponding infrastructure sprang up). But he worthily defended his family tradition and raised

ში მოუხდა მუშაობა (საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა; გამოეყო ყოფილი საბჭოთა კავშირის საერთო სტრუქტურას; გაჩნდა პრობლემები ახალი ტექნიკური საშუალებებისა და ტექნოლოგიების ათვისებისა; საჭირო იყო რეაქტიული თვითმფრინავებისთვის ახალი სანავიგაციო სისტემებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ.). მაგრამ, მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ღირსეულად დაიცვა ოჯახის ტრადიცია და ახალ სიმაღლეზე აიყვანა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ფენომენი.

გენერალ-მაიორი შალვა ჭანკოტაძე მრავალმხრივ განვითარებული ადამიანი გახლდათ. ძირითად პროფესიასთან პარალელურად, იგი ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც, რითაც ქართველი ხალხის დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. იყო საქართველოს მშრომელთა დეპუტატების უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი.

სამწუხაროდ, ადრე შეწყდა გამოჩენილი ქართველი მფრინავისა და ღვაწლმოსილი მხედართმთავრის მგზნებარე გულისცემა. იგი გარდაიცვალა 1965 წლის 21 თებერვალს. დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.

შალვა ჭანკოტაძის შვილები: ზურაბი, ირინე.

შვილიშვილები: შალვა ჭანკოტაძე, მანანა და ლევან ყაჯრიშვილები.

შვილთაშვილები: მარიაში და ტაისია.



the phenomena of Civil Aviation of Georgia to a new height.

Major-General Shalva Chankotadze was diversely developed person. Simultaneously with his profession he led active social life and deserved love and respect of Georgian people. He was a deputy of Labor's Supreme Council of Georgia.

Unfortunately, the heart beating of the famous and merited commander stopped early. He died in February 21, 1965. He is buried in Vake cemetery, Tbilisi.

Shalva Chankotadze's Children: Zurab, Irine.

Grandchildren: Shalva Chankotadze, Manana and Levan Kajrshvili.

Great-grandchildren: Mariam and Tasia.

## ალექსი ნიკოლოზის ძე ინაური

გენერალ-პოლკოვნიკი,  
საბჭოთა კავშირის ზმირი

ALEKSI  
INAURI

Colonel-General,  
hero of the Soviet Union

(1908-1993)

ქართული გენერალიტეტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, გენერალ-პოლკოვნიკი ალექსი ნიკოლოზის ძე ინაური დაიბადა ქ. გორში, 1908 წლის 12 მაისს.

მამა – ნიკოლოზ ინაური იყო მცირე ბიზნესის მქონე ხელოსანთა წარმომადგენელი. ახლანდელი გორის ე.წ. „წმინდაწყლის“ უბანში ჰქონია სამჭედლო-სახელოსნო და დაუღალავი შრომით ინახავდა მრავალწევრიან ოჯახს.

მომავალი გენერლის დედა – სოფიო სომხიშვილი (სოფ. მარანა) ცნობილი ყოფილა როგორც საუკეთესო დიასახლისი. იმავდროულად, ქალბატონი სოფიო ყოფილა მეტად მკაცრი, მომთხონი, პრინციპული და უაღრესად სამართლიანი. ვაჟკაცური ქალი იყო – იხსენებენ თანასოფლელები. მეტსახელად თურმე „ოთარანთ ქვრივიც“ კი შეურქმევიათ მისთვის. შვილიშ-

An outstanding representative of Georgian generals, Colonel general AleksI Inauri was born in May 12, 1908 in Gori.

His father-Nikoloz Inauri was a representative of handymen of small business. He owned a forging workshop in one district of Gori (present “Tsmindatskali”) and worked hard to support his large family.

The mother of the future general-Sopio Somkhishvili (from the village of Marana) was famous as the best housewife. At the same time she was a very strict, demanding and fair woman. The village people remember that they had given her the nickname “The widower of Otar” (According to the main character of a story by Iliia Chavchavadze), but her grandchildren mentioned her as “Marshal” among their friends.



ვილები კი „მარშლად“ მოიხსენიებდნენ თანატოლებში.

რთული და საინტერესო ცხოვრება განვლო ალექსი ინაურმა. ქ. გორის მესამე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ (1926), სწავლა გააგრძელა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა ალექსი ინაური სხვა ოცნებასაც დაატარებდა გულით, მან თავის თანატოლ და თანამოქალაქე ვ. ხუბულურთან (ასევე მომავალი გენერალი) ერთად, მშობლებისა და ახლობლებისგან ფარულად, პარალელურად, გამოცდები ჩააბარა ჩრდილოეთ კავკასიის (ქ. კრასნოდარი) საკავალერიო მეთაურთა სკოლაში. აქედან იწყება ალექსი ინაურის ხანგრძლივი სამხედრო ცხოვრება. აღნიშნული სკოლის დამთავრების შემდეგ, ალექსი ინაური, უკვე ოფიცრის რანგში, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად გააგზავნეს უკრაინის სამხედრო ოლქში, სადაც წლების განმავლობაში ასრულებდა სხვადასხვა მოვალეობას მზარდი თანამდებობრივი კარიერის შესაბამისად.

უკრაინაში სამსახურის პერიოდში, ალექსი ინაურმა თავისი ცხოვრება დაუკავშირა საყვარელ ადამიანს, ვერა ფედორჩენკოს. ახალგაზრდა წყვილი რუდუნებით შეუდგა ოჯახის მშენებლობას. ოცნება და მიზნები ბევრი ჰქონდათ და



**პატარა ალექსანდრე (მარჯვნიდან პირველი) და-ძმასთან, მშობლებთან და ბებიასთან ერთად**

**Little Aleksandre (first from the Right) with his brother and sister, parents and grandmother**

Alexsi Inauri passed a very interesting but difficult life. After finishing Gori Secondary School #3 (1926) he continued studied in the faculty of Physics at State University. Later Aleksi Inauri discovered that he had another dream and together with the fellow of his age and originated from the same city V. Khubuluri (also future general) secretly from his parents passed exams in the School of Cavalry Commanders of the North Caucasus (the town of Krasnodar). From this begins Aleksi Inauri's long

მზად იყვნენ საუკეთესო მომავალ-  
თან შესახვედრად, მაგრამ...

ფაშისტური გერმანია თავს  
დაესხა საბჭოთა კავშირს. სწორედ  
უკრაინამ მიიღო ვერმახტის არმიების  
პირველი დარტყმები. იმ დროისათ-  
ვის ალექსი ინაური უკვე ხელმძღ-  
ვანელობდა კავალერიის პოლკს.  
მოსალოდნელი ფართომასშტაბიანი  
სამხედრო ოპერაციების პირობებ-  
ში, ალექსი ინაური იძულებული  
განდა ფეხშიძე მეუღლე გამოეგზა-  
ვნა გორში. სწორედ გორში, 1941  
წლის 2 აგვისტოს ოჯახს შეეძინა  
პირველი ვაჟი, რომელსაც ალიკა  
(ალექსი) დაარქვეს სახელად. მოუ-  
წერია წერილი მებრძოლ მამას –  
იქნებ ვერ დაგბრუნდე ცოცხალი  
და, დაე, გაიზარდოს კიდევ ერთი  
ალექსი ინაურიო.

სულ მოკლე ხანში, ალექსი ინ-  
აური ინიშნება კავალერიის დივი-  
ზიის მეთაურად.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ  
სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებ-  
ში ალექსი ინაური იბრძოდა სსრკ-  
ს თავდაცვის მომავალ მინისტრთან,  
მარშალ ა. გრეჩკოსთან მხარდამხარ  
და გონივრული და თავგანწირული  
ქმედებებით თანდათან აახლოვებდა  
ფაშიზმზე ძლევაგამოსილი გამარ-  
ჯვების სანუკვარ დღეს. დიდი წვ-  
ლილი მიუძღვის ა. ინაურის დი-  
ვიზიას უკრაინის განთავისუფლების  
საქმეში.

1943 წელს, ალექსი ინაურ-

military life. After leaving the men-  
tioned school; Aleksy Inauri in the  
category of an officer was sent to the  
Military district of the Ukraine where  
he performed various duties on the  
positions according to his growing  
career for many years.

While working in the Ukraine  
Aleksy linked his life with his loving  
person, Vera Fedorochenko. Newly  
married couple began to build their  
family with great care. They had many  
dreams and goals and were ready to  
meet their best future, but....

Fascist Germany attacked the  
Soviet Union. The Ukraine got the  
first attacks of Vermakht army. By  
that time Aleksy Inauri was already  
the Chief of the Cavalry regiment. In  
the conditions of large-scaled military  
operations Aleksy Inauri had to send  
his pregnant wife in Gori. In August  
2, 1942 his first son-Alik (Aleks) was  
born. Later father wrote - "If I don't  
stay alive and let one more Aleksy In-  
auri grow in our family".

Very soon, Aleksy Inauri was ap-  
pointed on the position of a Chief of  
the Cavalry Division.

It should be noticed that in fierce  
battles Aleksy Inauri fought side by side  
with the future Minister of Defense of  
the Soviet Union, Marshal A. Grechko  
and by his selfless and sensible actions  
he was bringing closer and closer the



ის სამხედრო შენაერთები, სსრკ-ს სამხედრო ხელმძღვანელობის სტრატეგიული გეგმების შესაბამისად, გადაყვანილ იქნენ ირანის (ქ. თავრიზი) ტერიტორიაზე. ამ შენაერთების მთავარი მიზანი იყო არ დაეშვათ თურქეთის ჩაბმა მეორე მსოფლიო ომის ბატალიებში გერმანული ფაშიზმის სასარგებლოდ და იმავდროულად, უზრუნველყოთ მოკავშირეების მიერ მოწოდებული სამხედრო შეიარაღების შეუფერხებლად შემოტანა სსრკ-ს ტერიტორიაზე.

ომის დამთავრებას (1945 წლის მაისი) ალექსი ინაური შეხვდა უკვე გენერალ-მაიორის წოდებით. დადგა ომის შემდგომი, ჭრილობების მოშუშებისა და აღმშენებლობის პერიოდი.

ალექსი ინაურმა არ უღალატა არჩეულ გზას და განაგრძო სამხედრო ხელოვნების ღრმად შესწავლის პროცესი. ამ მიზნით მან 1948 წელს წარჩინებით დაამთავრა გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია ქ. მოსკოვში.

ომის შემდგომ, ევროპაში, სსრკ-მა და მისმა მოკავშირეებმა გადაინაწილეს გავლენის სფეროები (ქვეყნები, რეგიონები) და მკაცრი კონტროლი დააწესეს მათზე. ერთ-ერთი ასეთი ახალი გეოგრაფიული წარმონაქმნი იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (გდრ), სადაც სხვა სამხედრო შენაერთებ-

თავი დღის გამხრანად. ამ დროის განმავლობაში, სსრკ-ს სამხედრო ხელმძღვანელობის სტრატეგიული გეგმების შესაბამისად, გადაყვანილ იქნენ ირანის (ქ. თავრიზი) ტერიტორიაზე. ამ შენაერთების მთავარი მიზანი იყო არ დაეშვათ თურქეთის ჩაბმა მეორე მსოფლიო ომის ბატალიებში გერმანული ფაშიზმის სასარგებლოდ და იმავდროულად, უზრუნველყოთ მოკავშირეების მიერ მოწოდებული სამხედრო შეიარაღების შეუფერხებლად შემოტანა სსრკ-ს ტერიტორიაზე.

By the end of the war (May 1945) Aleksi Inauri had already the rank of Major-general. Now was the post war period, the period of healing the wounds and building the country.

Aleksy Inauri did not change the chosen way and continued the process of deep education in military art. For this he graduated the General Headquarters Academy in Moscow with honor.

After war, the Soviet Union and its allies distributed the spheres of influence in Europe and arranged strict control on them. One of such new geographical place was the Democratic Republic of Germany where the mechanized division of Aleksy Inauri was dislocated together with other military units from the Soviet Union.

After three years Major-general Aleksy Inauri was already in the



ან ერთად, სსრკ-ს მხრიდან დისლოცირებულ იქნა ალექსი ინაურის, იმჟამად უკვე მექანიზირებული, დივიზია.

სამი წლის შემდეგ, გენერალ-მაიორი ალექსი ინაური უკვე უკრაინაშია, სადაც მეთაურობს მექანიზირებულ კორპუსს.

1953 წელს ალექსი ინაური დააბრუნეს საქართველოში. საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იყო ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრი, შემდეგ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში ხელმძღვანელობდა სხვადასხვა სამსახურებს, ბოლოს კი ეკავა ამავე კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა.

1983 წელს დაწერილ დახასიათებაში ვკითხულობთ: „...ამხ. ალექსი ინაური ეწევა დიდ პარტიულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას. როგორც სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ბიუროს წევრი და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, იგი სისტემატურად ხვდება შრომით კოლექტივებს, ერთ მუშტად აერთიანებს მათ ხელისუფლების მიერ დასახული ამოცანების გადასაწყვეტად, დღენიდაგ ზრუნავს ქვეყნის უშიშროების სამ-



მეუღლესთან ვერა ფედორჩენკოსთან და შვილებთან – ალიკასთან და გაასთან

**With his wife-Vera Fedorchenko and children-Alik and Gia**

Ukraine where he was the chief of the mechanized corps.

In 1953 Aleksii Inauri was sent back to Georgia. During quite a long period he was the Minister of Internal Affairs, then he was a leader of various services in the committee of state security and last, he occupied the position of the chairman of this committee.

In the characteristic written in 1983 we may read: "...Aleksii Inauri leads great partial and public activity. As a deputy of the Supreme Council of the Soviet Union, a member of the bureau of the central committee of Georgia and the chairman of the state security committee, he systematically meets labor groups, unites

სახურის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მათ წინაშე მდგარი პრობლემების ღირსეულად გადაწყვეტაზე...“

ალექსი ინაური ეკუთვნოდა ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელთა ცხოვრების მთავარი მიზანი იყო სამშობლოსა და ხალხის ერთგული და მუხლმოუღლეელი სამსახური. ალექსი ინაურმა მიაღწია ამ მიზანს. იგი განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა ქართველი ხალხის მხრიდან. არაფორმალურ პირობებში ალექსი ინაური იყო მეტად უბრალო და თავმდაბალი. უყვარდა ადამიანის მოსმენა. პატივს სცემდა იუმორს და ვიწრო მეგობრულ წრეში მოღვინას. არც თევზაობაზე და ნადირობაზე ამბობდა უარს.

მეორე მსოფლიო ომში და შემდეგ, უკვე სხვადასხვა მაღალ პარტიულ, სამხედრო თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, მიღწეული წარმატებებისა და ასევე აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ალექსი ინაური დაჯილდოებული იყო ორმოცამდე ორდენითა და მედლით (მათ შორის გდრ-ს, მონღოლეთის, უკრაინის და სხვა).

1953 წელს ალექსი ინაურს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის, ხოლო 1967 წელს გენერალ-პოლკოვნიკის მაღალი სამხედრო წოდებები.



**სსრკ-ს თავდაცვის მინისტრ (მარცხნივ) ანდრია გრეჩკოსთან ერთად**

**With the Minister of Defense of the USSR (on the left) Andria Grechko**

them to solve the tasks planned by the government and the problems they were facing...”

Alexsi Inauri belonged to the category of people whose main goal of life is to serve the motherland and people. Alexsi Inauri reached this goal. He deserved people’s love and respect. In informal situations he was very modest and simple. He liked to listen to people, respected humor and having a good time at dinner parties with his very close people. He even did not refuse going to fishing and hunting.

In World War II and after that during the period of working in vari-

1985 წელს ალექსი ინაურს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ლენინის მეოთხე ორდენით და ოქროს ვარსკვლავით.

სამწუხაროა, რომ ალექსი ინაურის დედმამიშვილებიდან (მარიამი, დარეჯანი, მიხეილი) არც ერთი აღარ არის ცოცხალი. ალექსის შვილი ალიკა (ალექსი) და შვილიშვილი გაგაც ადრე გამოაკლდნენ წუთისოფელს. გაგას შვილი ელენე ამჟამად ცხოვრობს თბილისში. მოსკოვში ცხოვრობს ალექსი ინაურის შვილი გია (გიორგი) პროფესიით ექიმი, რომელსაც ჰყავს ორი ქალიშვილი – ეკა და ვერა.

თბილისში ცხოვრობს ალექსი ინაურის დის (დარეჯანის) შვილი, ჰიდროინჟინერი სანდრო ლაზაშვილი (ამჟამად პენსიონერი).

1993 წლის 28 ივნისს შეწყდა დიდებული ქართველის, მაღალი რანგის სამხედრო მოღვაწის, საქართველოზე და ქართველებზე უზომოდ შეყვარებული კაცის, გენერალ-პოლკოვნიკ ალექსი ინაურის მგზნებარე გულის ცემა.

დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს პანთეონში.

ous party and military positions he was awarded about forty order and medals (among them DRG, Mongolia, the Ukraine etc.) for reached success and active public activities.

In 1953 Aleksi Inauri was granted the rank of Lieutenant-General, and in 1967 the rank of Colonel-General.

In 1985 Aleksi Inauri was given the title of a hero of the Soviet Union, the fourth Order of Lenin and Gold Medal.

It is a pity that none of Aleksi Inauri's siblings (Mariam, Darejan, Mikheil) are alive. Aleksi's son Alik (Aleks) and grandson-Gaga died early. Gaga's daughter Elene now lives in Tbilisi. Aleksi Inauri's son-Gia (Giorgi) lives in Moscow. He is a doctor. He has two daughters-Eka and Vera.

Aleks Inauri's nephew, (Darejan's son), Sandro Lazashvili, a hydro engineer by profession, lives in Tbilisi. Now he is retired.

The heart beating of the great Georgian, military man of a high rank, Colonel-General Aleks Inauri, stopped in June 28, 1993. He is buried in Saburtalo pantheon, Tbilisi.

**ვლადიმერ დავითის ძე  
ხუბულური  
ბენეარალ-მაიორი**

**VLADIMER  
KHUBULURI  
Major-General**

(1908-1982)

ვლადიმერ ხუბულური დაიბადა ქ. გორში, დავით და ეკატერინე ხუბულურების ოჯახში, 1908 წლის 31 დეკემბერს.

ვლადიმერის მამა, დავითი ხელოსანი (დურგალი) იყო. მიუხედავად დაუღალავი შრომისა, გაჭირვებით ინახავდა ოჯახს. სამი შვილი ეზრდებოდა (ვლადიმერი, ელენე, მარიამი) და მათთვის სწავლა-განათლების მიცემა დიდ ფინანსურ სიმძნელებთან იყო დაკავშირებული. როგორც

იტყვიან, „წლებზე ფეხი დაიდგა“ ოჯახმა და ვლადიმერს მიეცა საშუალება ესწავლა გორის საშუალო სკოლაში.

როგორც ყოველ ბავშვს, ვლადიმერსაც ჰქონდა სანუკვარი ოცნება. მას გაგონილი ჰქონდა ლეგენდარული ბუდიონის საკავალერიო დივიზიის საგმირო საქმეების შესახებ და ჩაფიქრებული ჰქონდა ესწავლა სამხედრო ცხენოსანთა

Vladimer Khubuluri was born in December 31, 1908, in Gori, in the family of Davit and Ekaterine Khubuluri.



Vladimer's father, Davit, was a carpenter. In spite of restless labor, he supported the family with great difficulty. Three children were grown in the family (Vladimer, Elene and Mariam) and giving them education was connected with great financial hardships. The family did their best and to

give Vladimir the chance of studying in Gori secondary school.

Like other children Vladimir had a sacred dream. He had heard about the heroic affairs of cavalry division of legendary Budion. His goal was to study at the military cavalry school.

After finishing school (1926) he together with other fellows from Gori left for Krasnodar to study at Military Cavalry School of North Caucasus.

სკოლაში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ (1926 წ.) იგი, სხვა გორელებთან ერთად, სასწავლებლად მიდის ჩრდილოეთ კავკასიის ცხენოსანთა სამხედრო სკოლაში (ქ. კრასნოდარი).

აღნიშნულ სასწავლებელში მან თავი გამოიჩინა ნიჭით, ბევრით მეცადინეობით და სანიშნო დისციპლინით, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია სკოლის ხელმძღვანელობას, რომელმაც რამდენჯერმე აღნიშნა მისი წარმატება სხვადასხვა ოფიციალურ საბუთში.

1930 წელს ვლადიმერ ხუბულურმა წარმატებით დაამთავრა სასწავლებელი და მას მიენიჭა მეთაურის წოდება. ამ მომენტიდან იწყება მისი საბრძოლო ბიოგრაფია.

1930-33 წლებში იგი იკავებს სხვადასხვა თანამდებობებს ქართულ ცხენოსანთა პოლკში.

1933-36 წლებში ვლადიმერი მეთაურობს ფრუნზეს სახელობის მეორე ქართულ მსროლელთა დივიზიის ცალკე ცხენოსანთა ესკადრონს. სწორედ ამ წლებში, იგი დაჯილდოებულ იქნა საპატიო ნიშნის ორდენით, როგორც საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებული მებრძოლი.

ახალგაზრდა მეთაურს არ აკმაყოფილებდა უკვე მიღწეული და ოცნებობდა უმაღლესი სამხედრო

In this mentioned school he showed himself with his gift, hard work and excellent discipline, that did not remain unnoticeable for the managers of the school and they marked and mentioned his success in various official document several times.

In 1930 Vladimir Khubuluri graduated from the school with honor and he was given the title of a Chief. From this moment his combat biography started.

In 1930-1933 he occupies various positions in the cavalry regiment of Georgia.

In 1933-1936 Vladimir was the head of cavalry squadron of the second Georgian shooters' division named after Frunze. In these years he was awarded with Order of Honor as a successful warrior of political and combat preparation.

The young chief was not satisfied with the reached goal and dreamed of getting higher military education. He realized his dreams and graduated Moscow Frunze Military Academy with honor. After this (1939) he was appointed as the deputy chief of southern intelligence group of the army.

In 1939-1940 Vladimir Khubuluri actively fought for liberating west Ukraine from the white Polish.

განათლების მიღებაზე. მან აღის-  
რულა წადილი და უმაღლესი შე-  
ფასებებით დაამთავრა მოსკოვის  
ფრუნზეს სახელობის სამხედრო  
აკადემია, რის შემდეგაც (1939  
წ.) დაინიშნა არმიის სამხრეთ  
ჯგუფის დაზვერვის უფროსის  
მოადგილედ.

1939-40 წლებში ვლადიმერ  
ხუბულური აქტიურად იბრძოდა  
თეთრპოლონელთაგან დასავლეთ  
უკრაინის განთავისუფლებისათ-  
ვის. მან განსაკუთრებული სი-  
მამაცე გამოიჩინა ქალაქების –  
სტრიისა და ლვოვის დასახს-  
ნელად გამართულ ბრძოლებში.  
შემდეგ კი, უკვე პოლკის შტა-  
ბის უფროსის რანგში, აწარმოე-  
ბდა ბრძოლებს თეთრფინელების  
წინააღმდეგ. დავალებების ზუსტად  
შესრულებისათვის და ასევე გამო-  
ჩენილი სიმამაცისათვის ვლადიმერ  
ხუბულური დაჯილდოვდა (1940 წ.)  
წითელი ვარსკვლავის ორდენით.

მეორე მსოფლიო ომის დაწ-  
ყებამ ვ. ხუბულურს მოუსწრო ქ.  
ლენინგრადში, სადაც იგი აგრძელებ-  
და სამხედრო სამსახურს პოლკის  
მეთაურის თანამდებობაზე.

მეორე მსოფლიო ომის საწყის  
ეტაპზევე გამოჩნდა ვლადიმერ ხუ-  
ბულურის, როგორც მხედართმ-  
თავრის ნიჭი და ბრძოლის უნარი.  
მისი შენაერთები თავზარს სცემდნენ  
გერმანელ ფაშისტთა ურდოებს და



**გენერალ-მაიორ ივანე  
ბაბალაშვილთან ერთად**

**With Major-General  
Ivane Babalashvili**

He showed bravery in the battles  
for liberating the towns of Striia and  
Lvov. Then, in the position of a chief  
of the regiment staff he was leading  
battles against white Finlanders. For  
fulfilling the tasks exactly and also for  
the showed bravery Vladimir Khubu-  
luri was awarded with Order of Gold  
medal (1940).

For the time of the beginning of  
World War II Vladimir Khubuluri was  
in Leningrad where he was continu-  
ing his service on the position of the



უმოწყალოდ ანადგურებდნენ სადაც კი წაასწრებდნენ.

მტერი განსაკუთრებული მონღოებით უტევდა ლენინგრადს, რომლის დაცვაც, ქვეყნის ხელმძღვანელობისთვის, იყო უმთავრესი ამოცანა. ლომივით იბრძოდა ვლადიმერ ხუბულური. არაერთი შეტევა მოიგერია და მრავალი კონტრდარტყმაც მიაყენა მტერს. ძნელია ჩამოთვალო ყველა ის წარმატებული ოპერაცია, რომელიც ჩატარდა ვ. ხუბულურის ხელმძღვანელობით და მისი უშუალო მონაწილეობით. დიდი ვლადიმერ ხუბულურის ღვაწლი ლენინგრადის გადარჩენის საქმეში.

სამწუხაროდ, ერთ-ერთი გააფთრებული ბრძოლის დროს, მტრის ჭურვის ნამსხვრევმა სერიოზულად დაუზიანა მარჯვენა ხელი და იგი იძულებული გახდა დროებით ჩამოშორებოდა სამხედრო მოქმედებებს.

1942 წლის მარტში ვლადიმერ ხუბულური ინიშნება თბილისის მეთაურთა სკოლის უფროსად. ცოტა ხნის შემდეგ კი, იგი, თავისი სკოლის შემადგენლობასთან ერთად, იგზავნება შავი ზღვის სანაპიროს, ადლერ-ხოსტას უბნის დასაცავად.

1942-43 წლებში ვლადიმერ ხუბულური ინიშნება ჯერ სათადარიგო ბრიგადის მეთაურად, შემდეგ კი ქართული დივიზიის მეთაურად.

chief of the regiment.

At the very starting stage of the war Vladimir Khubuluri's gift of leadership and ability of fight was clearly seen. German fascists' units were horrified by his units.

The enemy attacked Leningrad very severely and the defense of Leningrad was the main issue for the leaders of the country. Vladimir Khubuluri fought strongly and repulsed many attacks and led many counterattacks to the enemy. It is difficult to enumerate all the successful operations led by him. Vladimir Khubuluri's share is great in surviving Leningrad.

Unfortunately, during one fierce battle, a splinter of a bomb seriously wounded his right hand and he was forced to leave military activities temporarily.

In March of 1942 Vladimir Khubuluri was appointed on the position of the head of Tbilisi School of Commanders. A bit later together with the staff of the school he was sent to defend Adler-Khosta district, the seaside of the Black Sea.

In 1942-43 Vladimir Khubuluri was appointed on the position of chief of the reservist brigade and then on the position of the chief of Georgian division.

From 1946 Vladimir Khubuluri

1946 წლიდან ვლადიმერ ხუბულური ინიშნება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ოფიცერთა გადამამზადებელი კურსების უფროსად, ხოლო 1951 წლიდან იგი თბილისის ქვეითთა სამხედრო სკოლის უფროსია.

ვლადიმერ ხუბულური დიდი ხნის განმავლობაში იყო თბილისის სამხედრო გარნიზონის უფროსი.

ქვეყნის ხელმძღვანელობამ სათანადოდ დააფასა ვლადიმერ ხუბულურის სამხედრო თუ საზოგადოებრივი ღვაწლი და სამშობლოსადმი ერთგულება. იგი დაჯილდოებულია მრავალი საბრძოლო ორდენით და მედლით, მათ შორის ლენინის (ორი), წითელი დროშის (ორი) და წითელი ვარსკვლავის (ორი) ორდენით. 1953 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. ყოფილი საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროსგან სახელობითი საჩუქრების სახით მიღებული აქვს ოქროს საათი და იარაღი „მაუზერი“. იყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

ვლადიმერ ხუბულურის ვაჟი, ბატონი ზაური (ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი) იგონებს: „...მამა იყო მკაცრი, მაგრამ სამართლიანი. ძალიან უყვარდა თევზაობა, ნადირობა და ახლობლების წრეში სუფრაზე მოღებნა;

was appointed on the position of the chief of the training courses of officers of trans-Caucasian Military District. From 1950 he was the head of Tbilisi Infantry Military School.

For a long time Vladimir Khubuluri was the Chief of Tbilisi Military Garrison.

The government of the country evaluated Vladimir Khubuluri's military and public merit and his devotion to the motherland. He was awarded with many combat orders and medals, among them are: Order of Lenin (two), order of Red Flag (two), Order of Red Star (two). In 1953 he was given the rank of Major-General. He has got a gold watch and a gun "Mauzri" from the Ministry of defense of Former Soviet Union. He was the deputy of Tbilisi City Council.

Vladimir Khubuluri's son, Zauri (Doctor of technical sciences, a lecturer of Polytechnic University) recalls: „..Father was strict but fair. He loved fishing, hunting and having a good time at dinner parties with his close people; he owed distinguished hospitality. Early in the morning he used to go out in fresh air for a walk for gaining good health.”

Mr. Zauri also recalls such a story. In 1978 a colonel, dressed up in the uniform of engineering, an orphan boy, had come from a far village

გამორჩეოდა სტუმართმოყვარეობით. დილით ადრიანად გადიოდა სუფთა ჰაერზე სასეირნოდ და ორგანიზმის გასაკაჟებლად“.

ბატონი ზაური იგონებს ერთ ასეთ ამბავსაც. 1978 წელს მათთან სახლში მისულა საინჟინრო ჯარების ფორმაში გამოწყობილი პოლკოვნიკი და მოუკითხავს ვლადიმერ ხუბულური. უთქვამს – ქართულ ენაზე არც წერა-კითხვა ვიცოდი და არც ლაპარაკი. სამეგრელოს მაღალმთიანი შორეული სოფლიდან ჩამოვედი ობოლი ბიჭი სასწავლებლად. მამათქვენი მხარში ამომიღვა და შვილივით გამზარდა. გეახელით, რომ გამოვხატო ჩემი დიდი მადლიერების გრძნობა და პატივისცემაო.

გენერალ-მაიორი ვლადიმერ ხუბულური გარდაიცვალა 1982 წელს. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

შვილები: ზაური, ლიანა; შვილიშვილები: ნინო ხუბულური, მანანა, ვლადიმერ და პაატა არჯევანიძეები.



**გორის დიდების მუზეუმში დაცული ვლადიმერ ხუბულურის მედლები**

**Vladimer Khubuluri's medals are kept in Gori Museum of Glory**

from high mountains of Samegrelo to study but he could neither write nor speak Georgian. Vladimer Khubuluri had supported him and treated him like his own son. Now he came to show his great respect and appreciation to Vladimer Khubuluri.

Vladimer Khubuluri died in 1982. He is buried in Saburtalo Pantheon, Tbilisi.

His children: Zauri, Liana; grandchildren: Nino Khubuluri, Manana, Vladimer and Paata Arjevanidze.

# ალექსანდრე ნადირაძე

ინჟინერ-გენერალ-  
კოლკოვნიკი

# ALEKSANDRE NADIRADZE

Engineer-Colonel-  
General

(1914-1987)

ალექსანდრე ნადირაძე განეკუთვნება ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელსაც ბედმა არგუნა თავისი ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის დიდი ნაწილი გაეტარებინა თითქმის აბსოლუტურად გასაიდუმლოებულ ატმოსფეროში. დიახ, ეს იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის გამაღებელი შეიარაღების პირდაღებული დოქტრინის წლები, ცივი ომის პერიოდი, როცა კაპიტალისტური და ე.წ.



კომუნისტური სამყაროები დაუსწრებლად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, როცა თითოეული მხარე ცდილობდა სამხედრო შეიარაღების ხარისხითა და რაოდენობით მიეღწია ჰეგემონური როლისთვის მსოფლიო მასშტაბით.

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულამდე, ვიწრო წრის გარდა, თითქმის არავინ იცოდა, თუ რა როლი ითამაშა ალექსანდრე ნადირა-

Aleksandre Nadiradze belongs to the category of people who had to spend great part of their life and scientific work in almost absolute secret atmosphere. These were the years of arms race doctrine of the former Soviet Union, the period of “Cold War” when capitalist and so called communist worlds confronted each other, when each side tried to gain the hegemony role in the world by the quality and quantity of military arms.

Till the end of the last decade of the XX century nobody but a very close circle knew how great role Aleksandre Nadiradze had played in increasing and raising military potential of the former Soviet Union. Some fragments from his scientific activities became known only after his death and the collapse of the Soviet Union and that was fairly impressive.

ემ ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხედრო პოტენციალის გაზრდისა და ამაღლების საქმეში. მხოლოდ მისი სიკვდილისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა ცნობილი ა. ნადირაძის მეცნიერული მოღვაწეობის ზოგიერთი ფრაგმენტი, რაც საოცრად შთაბეჭდავი გახლავთ.

ფიქრობთ, რომ ბევრი რამ ვერ კიდევ დროთა განმავლობაში გამოიხეურდება, მაგრამ რაც უკვე ცნობილია, ისიც საკმარისია, რათა ალექსანდრე ნადირაძეს ვუწოდოთ თავისი დროის უდიდესი მეცნიერ-ინჟინერი, უნიკალური გამომგონებელი და აქტიური საზოგადო მოღვაწე.

ნათქვამის დასადასტურებლად მისი წოდებებისა და ჯილდოების ჩამოთვლაც საკმარისი იქნება: ერთ-ერთი დიდი ქვეყნის შეიარაღებული ძალების სარაკეტო ტექნიკის მთავარი კონსტრუქტორი, ინჟინერ-გენერალ-პოლკოვნიკი (იშვიათი სამხედრო წოდება), ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, რამდენიმე სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დამსახურებული გამომგონებელი, ხუთი უმაღლესი სახელმწიფო ორდენისა და მრავალი მედლის კავალერი, ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის საპატიო მოქალაქე და ა.შ.

ალექსანდრე ნადირაძე დაიბადა 1914 წლის 7 (20) აგვისტოს ქალაქ გორში, დღევანდელი კირიონ მეორის

We consider that many more things will be displayed in future but even the known facts are enough to call Aleksandre Nadiradze the greatest scientific engineer, unique inventor and active public figure of his time.

To prove the above mentioned statement enumerating his titles and awards will be enough: the chief constructor of missile technology of the armed forces of one of the greatest country, Engineer-Colonel-General (a very rare military rank), twice hero of Socialist labor, laureate of several state awards, honored inventor, owner of five supreme state orders and cavalry of many medals, the academic of the Academy of science of the former Soviet Union, honorary citizen of Tbilisi and so on.

Aleksandre Nadiradze was born in August 7 (20), 1914 in Gori, in Kirion II Street (former Narimanov str/Shaumiani str), in the building of former boarding house. The Nadiradze family consisted of 6 members: the head of the family-Davit, his sister Nino with an underage daughter Mariam, Davit's wife Natali and Davit and Natali's two sons-Gogi (Iura) and Aleksandre-Sashka as he was called in his childhood.

The brothers had quite different character. The elder Gogi (Iura)

(ადრე ნარიმანოვის, შაუმინის) სახელობის ქუჩაზე, ყოფილი პანსიონის შენობაში. ნადირაძეების ოჯახი შედგებოდა ექვსი სულისგან: ოჯახის უფროსი დავითი, მისი და ნინო მცირეწლოვანი ქალიშვილი მარიამით, დავითის მეუღლე ნატალია და დავითისა და ნატალიას ორი ვაჟიშვილი – გოგი (იურა) და ალექსანდრე, რომელსაც ბავშვობაში საშკას ეძახდნენ.

ძმებს ბავშვობიდანვე განსხვავებული ხასიათი ჰქონათ. უფროსი გოგი (იურა) უფრო მხიარული, მოძრავი და ცელქიც ყოფილა. საშკა გამოირჩეოდა სიღინჯით; ყოფილა ჩუმი და ჩაფიქრებული, თავის პატარა საწერ მაგიდასთან მოფუსფუსე, საქმეში მშვიდად და ღრმადჩაფლული მეოცნებე.

უფროსი ძმა გოგი (იურა) იყო მანქანათმშენებლობის სპეციალისტი. იგი დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში, ქერჩის საომარი ოპერაციების დროს. გოგის ქალიშვილი სვეტლანა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მეცნიერ მუშაკად მოღვაწეობდა თბილისში, ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის კვლევით ინსტიტუტში.

საშკა სასწავლებლად მიუყვანათ ქართულ სკოლაში, მოგვიანებით კი გადაუყვანათ რუსულ სკოლაში. მომავალი დიდი მეცნიერ-გამომგონებელი ბავშვობიდანვე ბე-

was more cheerful and even a little naughty. Sashka was distinguished by his calm and quiet features. He was a dreamer always sitting busily at his writing desk deeply involved in his thoughts.

The elder brother Gogi (Iura) was a mechanical engineer. He died in World War II during battles at Kerchi. Gogi's daughter Svetlana had worked in Tbilisi for a long time at the former Institute of Marxism-Leninism research Institute as a scientific worker.

Sashka was brought to a Georgian School but later he was transferred to a Russian school. The future great scientific-inventor had been diligent and hard working since childhood. He obeyed parents and teachers, always followed their advice but in his own manner and sometimes did it even better. He loved painting and drawing since childhood and was keen on making flying models from cardboard, sheet and thick sheets of paper. After making them he liked to observe their flying possibilities. These features brought him worldwide fame in the future.

Gori people are proud of their fellow citizen and his successful scientific affairs. It is difficult to touch upon his every scientific work of historical value but very shortly we will



ჯიტი და სწავლას მოწყურებული ყოფილა. მშობლებისა და მასწავლებლების დამჯერი, მათი რჩევამითითებების უყოყმანოდ, მაგრამ თავისებურად, კიდევ უფრო უკეთესად შემსრულებელი. საშკას პატარაობიდანვე იზიდავდა ხატვა და ხაზვა. განსაკურებით გატაცებული ყოფილა მუყოს, ფანერის და ქაღალდის სქელი ფურცლებით საფრენი მოდელების, მაკეტების დამზადებით და მათი „ფრენის“ შესაძლებლობებზე დაკვირვებით. ეს თვისებები მომავალში მას მოუტანს მსოფლიო აღიარებას.

სამართლიანად ამაყობენ გორელები თავიანთი თანამემამულისა და თანამოქალაქის პიროვნებით და მისი წარმატებული სამეცნიერო მოღვაწეობით. ძნელია ყველა იმ ისტორიული მნიშვნელობის საქმიანობაზე ისაუბრო, რაც კი ალექსანდრე ნადირაძის მეცნიერული მოღვაწეობის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ მოკლედ მაინც შევეხებით მის ნაღვაწს.

ჯერ სულ 18 წლის იყო ალექსანდრე, როდესაც პირველი გამოგონება ჩაიწერა აქტივში. გამოგონება კი ეხებოდა საფრენოსნო აპარატებს. გადიოდა წლები და საკარიერო საფეხურების ზრდასთან ერთად, იზრდებოდა ა. ნადირაძის მიერ შექმნილი საფრენოსნო აპარატებისა თუ სარაკეტო კომპლექსებისა და სისტემების ნაირსახეობა და რაოდენობაც. მის



**ალექსანდრე ნადირაძის მიერ შექმნილი რაკეტა**  
**A rocket created by Aleksandre Nadiradze**

deal with his deeds.

Aleksandre was only 18 years old when his first invention was written down in his scientific career. The invention dealt with flight apparatus. Years were passing and the variety and number of missile complexes and flight apparatus created by him was increasing together with his career steps. The missile systems created by him horrified any potential

მიერ შექმნილი მართვადი სარაკეტო სისტემები თავზარს სცემდა და მოსვენებას არ აძლევდა ყოფილი საბჭოთა კავშირის პოტენციურ მოწინააღმდეგეებს. ტყუილად არ მოითხოვდნენ დაჟინებით ამერიკელები სხვადასხვა საერთაშორისო დონის მოლაპარაკებებზე – „მოაშორეთ ნადირაძის რაკეტებიო“.

ალექსანდრე ნადირაძის ხელმძღვანელობით შექმნილი პირველი მართული ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტის მოქმედების სიშორე არ აღემატებოდა 500 კმ-ს, მაშინ, როცა მომდევნო წლებში შექმნილმა სხვადასხვა მოდიფიკაციის ტაქტიკური რაკეტების მოქმედების სიშორემ გადააჭარბა ათი ათას კილომეტრს. სწორედ ამგვარი ტიპის სარაკეტო-კომპლექსების წყალობით ინარჩუნებდა ყოფილი საბჭოთა კავშირი ყველაზე უფრო მძლავრი შეიარაღების მქონე ქვეყნის სტატუსს.

ნოსტალგიის გრძნობამ არ იცის ეროვნება, მრწამსი, რანგი და სტატუსი. არც ალექსანდრე ნადირაძე გახლდათ გამონაკლისი. როდესაც იგი 1984 წელს მოსკოვიდან ჩამოვიდა საქართველოში და მოინახულა ის ადგილები და დაწესებულებები, სადაც ბავშვობა გაატარა, სადაც ისწავლა და იმუშავა – თვალები სულ ერთთავად ცრემლით ჰქონდა დანაბული. ამ წელს მას მიანიჭეს

rival of the former Soviet Union. At any international summits the Americans insisted: “Take away Nadiradze Rockets”.

The acting distance of the first controlled operative-tactical rocket made under Aleksandre Nadiradze did not exceed 500s kilometers, but distance activity of the tactic rockets of various modification made in the following years exceeded 10 000 kilometers. Just Due to such missile complexes the former Soviet Union-managed to preserve the status of a country owning more powerful arms.

The sense of nostalgia does not acknowledge nationality, beliefs, rank and title. Even not Aleksandre Nadiradze was an exception. In 1984 when he arrived in Georgia from Moscow and visited the places and institutions of his childhood where he had studied and worked his eyes were filled with tears. That year he was given the title of a honorary citizen of Tbilisi.

Aleksandre Nadiradze did not know that it was his last visit in his native country. He died in September of 1987. He is buried in Moscow, in Novodevich cemetery where a monument stands on his grave.

Aleksandre Nadiradze had three daughters from two wives. The three

თბილისის საპატოო მოქალაქის წოდება.

რა იცოდა მაშინ ალექსანდრე ნადირაძემ, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი ჩამოსვლა მშობლიურ საქართველოში. იგი გარდაიცვალა 1987 წლის სექტემბერში. დაკრძალულია მოსკოვის ნოვოდევიჩის სასაფლაოზე, სადაც დადგმულია მისი ძეგლი.

ალექსანდრე ნადირაძეს ჰყავდა სამი ქალიშვილი ორ მეუღლესთან. სამივე დაოჯახებულია და ჰყავთ შვილები, მათ შორის ორი ვაჟი. ცხოვრობენ რუსეთში. სამწუხაროდ, გოგის (იურას) და ალექსანდრეს (საშკას) არ ჰყოლიათ გვარის გამგრძელებლები.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულია სარაკეტო ბირთვული ფარის ერთ-ერთი ფუძემდებლის ა. ნადირაძის სახელობის მედალი და სახელმწიფო პრემიაც, რომელიც მეცნიერის დაბადების დღეს ენიჭებათ სარაკეტო ტექნიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისათვის.

ქ. გორის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ერთ-ერთი ქუჩა ატარებს ალექსანდრე ნადირაძის სახელს.



**ალექსანდრე ნადირაძე თბილისობაზე (1984)**  
**Aleksandre Nadiradze at Tbilisoba feast (1984)**

daughters are married and have children. Their two sons live in Russia. Unfortunately neither Gogi (Iura) nor Aleksandre (Sashka) had sons to continue their surname.

It is necessary to mention that a medal and a state award carrying the name of Aleksandre Nadiradze, one of the founders of nuclear missiles, are established. These awards are delivered on the birthday of the scientist for taking distinguished share in development of rocket techniques.

In the north-west of Gori a street is named after Aleksandre Nadiradze.

**ნოდარ ოთარის ძე  
დალაქიშვილი  
ბენეშალ-მაიორი**

**NODAR  
DALAKISHVILI  
Major-General**

მე-XX საუკუნის ბოლო ათწლეულში, საქართველოში ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის ჩამოყალიბების პროცესს, თან ახლდა სამხედრო-პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური ვითარების მკვეთრი ცვლილებები. ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, საქართველოში გააქტიურდნენ სეპარატისტული ძალები, რომელთა ძირითადი მოთხოვნა იყო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეგიონების გამოყოფა საქართველოსგან.



აღნიშნულ რეგიონებში სტიქიურმა საომარმა ქმედებებმა და შიგაპოლიტიკურმა დაპირისპირებებმა (რამაც ქვეყანა მიიყვანა სამოქალაქო ომამდე) განადგურების პირას მიიყვანა ეკონომიკა. ქვეყანა ჩავარდნილი იყო ღრმა კრიზისში. ცხოვრების წესად იქცა: პურის რიგები, უმუქობა, სიცივე და ა.შ. „ამღვრეული წყლით“ ისარგებლა კრიმინალურმა სამყარომ და სისტემური ხასიათი მიიღო ქურდობამ, ძარცვამ, ადამიანებისა და მანქანების გატაცებამ, ძალადობამ და განუკითხაობამ. სწორედ ასეთ რთულ და

In the last decade of the XX century Georgia faced the process of forming a new social formation which was followed by sharp changes of military-political and social-economic conditions. After dissolution of the former Soviet Union separatist forces became very active in Georgia. Their main demand was allocation of Abkhazia and Samachablo regions from Georgia.

Severe military activities in the mentioned regions and internal political confrontations (which brought the country to civil war) destroyed the economy and industry of the country. The country was in deep crisis. Queuing at bakery's, no electricity and cold inside the houses had become the usual moments of life. Criminal world used such disorder and theft, robbery, kidnapping of people and cars, violence became systematic. Just in such difficult and tense period Major-General Nodar Dalakishvili had to be on various positions in Shida Kartli main department of Internal Affairs

დაძაბულ, მძიმე პერიოდში მოუწია მოღვაწეობა გენერალ-მაიორ ნოდარ დალაქიშვილს, რომელიც მსახურობდა შიდა ქართლის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში სსვადასხვა თანამდებობაზე, ბოლოს კი, ამავე სამმართველოს უფროსად.

ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ნოდარ დალაქიშვილს გაათკეცებული ენერგიით უწევდა ბრძოლა კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ, თუმცა არც სეპარატისტულ რეგიონებში მიმდინარე ლოკალურ ბრძოლებში აქტიური მონაწილეობა იყო მისთვის „უცხო ხილი“.

ნოდარ დალაქიშვილი დაიბადა 1950 წლის 18 მარტს ქ. გორში, ტრადიციულ ქართულ ოჯახში.

ნოდარის მამა, ოთარ დალაქიშვილი იყო ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, მუდამ მომღიმარე, თავმდაბალი და ყველასთვის კეთილისმსურველი. იგი ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. სიცოცხლის ბოლო წლებში კი ხელმძღვანელობდა სამრეწველო-სამეურნეო ორგანიზაციებს. გარდაიცვალა 1994 წელს.

ნოდარის დედა, ქალბატონი თამარი იყო გორელებისათვის საყვარელი ოჯახის დიასახლისი. გარდაიცვალა 2008 წელს.

მომავალმა გენერალმა, ნოდარ დალაქიშვილმა 1966 წელს დაამ-

and his last position was the Chief of the same department.

Due to the existing situation in the country Nodar Dalakishvili had to make great effort to struggle against the criminal world. He also participated in local battles going on in the separatist regions.

Nodar Dalakishvili was born in March 18, 1950 in Gori, in a traditional Georgian family.

Nodar's father, Otar Dalakishvili was a brilliant representative of Georgian intellectuals. Otar, always smiling, modest and kind to everybody, was leading active pedagogical activity. In the last years of his life he was the head of industrial-economic organizations. He died in 1994.


Nodar's mother, Tamar, was the housewife of the family loved by all Gori people. She died in 2008.

The future general, Nodar Dalakishvili finished Gori Secondary school# 1 in 1966 and continued his studies at Gori Nikoloz Baratashvili Pedagogical Institute, on the faculty of Physics which he graduated in 1972. In the same year Nodar's interesting, busy and difficult labor life began. At the starting stage of his career he was a worker at Gori Cotton Cloth factory. Several years later he became an engineer of one of the biggest industrial local unit. It should be noticed that just here, he was formed as a perspective party-industrial worker. He was the



თავრა ქ. გორის პირველი საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1972 წელს. ამავე წელს დაიწყო ნოდარ დალაქიშვილის საინტერესო, მრავალფეროვანი და სირთულეებით გადატვირთული, შრომითი საქმიანობა. თავისი შრომითი კარიერის საწყის ეტაპზე იგი იყო ქ. გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის მუშა, რამდენიმე წლის შემდეგ კი, ადგილობრივი მრეწველობის ერთ-ერთი მსხვილი გაერთიანების ინჟინერი. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ აქ ჩამოყალიბდა იგი პერსპექტიულ პარტიულ-სამეურნეო მუშაკად, ხელმძღვანელობდა გაერთიანების პარტიულ კომიტეტს. როგორც პერსპექტიული კადრი, იგი გადაიყვანეს (1979) პარტიის საქალაქო კომიტეტში ინსტრუქტორად ჯერ პროპაგანდისა და აგიტაციის, შემდეგ კი საორგანიზაციო განყოფილებებში. ნოდარ დალაქიშვილი წარმატებით კურირებდა ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას.

1982 წელს ნოდარ დალაქიშვილმა ქ. კიევში დაამთავრა ოფიცერთა მომზადების უმაღლესი კურსები, რის შემდეგაც იგი სამუშაოდ გააგზავნეს საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში. მუშაობდა ქ. გორის საქალაქო განყოფილებაში პოლიტნაწილის უფროსად. მუშაო-



**16 წლის ასაკში  
at the age of 16**

leader of party committee and as a promising person he was transferred in the party city committee on the position of an instructor (1979) in the department of agitation and propaganda and then in the organizational departments. Nodar Dalakishvili was successfully managing the affairs of administrative organs.

In 1982 Nodar Dalakishvili graduated from officers training higher courses in Kiev and after that he was sent to Georgia to work in organs of Internal Affairs of Georgia. He worked on the position of a chief of political office at Gori City department. Simultaneously he graduated from Tbilisi



ბის პარალელურად, ნოდარ დალაქიშვილმა დაამთავრა მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტი. 1985 წელს მას მიენიჭა მილიციის კაპიტნის წოდება.

ნოდარ დალაქიშვილის სამსახურებრივი კარიერის საფეხურები ასე გამოიყურება:

– ქ. გორის შ/ს საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილის დარგში;

– ამავე განყოფილების უფროსის პირველი მოადგილე;

– შ/ს საქალაქო-რაიონული გაერთიანებული განყოფილების უფროსის მოადგილე, შემდეგ კი პირველი მოადგილე;

– 1992 წლიდან გორის შ/ს სამმართველოს უფროსის მოადგილე, პირველი მოადგილე და ამავე სამმართველოს უფროსი;

– 1996 წელს დაინიშნა შიდა ქართლის სამხარეო შ/ს მთავარი სამმართველოს უფროსად;

– შ/ს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე;

ბუნებრივია, რომ თანამდებობრივ ზევლას თან სდევდა წოდებრივი რეგალიებიც:

1989 წ. – მილიციის მაიორი; 1993 წ. – მილიციის ვიცე-პოლკოვნიკი; 1996 წ. – მილიციის პოლკოვნიკი; 2001 წ. – გენერალ-მაიორი.

გენერალ-მაიორ ნოდარ დალა-



**სამხედრო სამსახურში  
at the military service**

faculty of Moscow Higher School of Police. In 1985 he was granted the rank of Police Captain.

The stages of Nodar Dalakishvili's career are as follows:

- The deputy chief of City Department of Internal Affairs in the field of politics

- The first deputy Chief in the same department;

- The deputy chief of united city-regional department of Internal Affairs and later the first deputy chief of the same department;

- From 1992 the deputy chief of Board of Internal Affairs, the first deputy chief and the Chief of the

ქიშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მიმდინარე როგორც საომარ ოპერაციებში, ისე კონფლიქტების პოლიტიკური დარეგულირების საკითხებში. იგი იყო ე.წ. „ოთხმხრივი კომისიის“ მუშაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და არ იშურებდა ძალ-ღონეს – პრობლემის მშვიდობიანი გზებით და საშუალებებით გადასაწყვეტად.

საქართველოს ხელისუფლებამ ჯეროვნად დააფასა ნოდარ დალაქიშვილის მრავალწლიანი მოღვაწეობა. მიღებული აქვს: ოცამდე მაღლობა, საკავშირო და საქართველოს შ/ს ორგანოების წარჩინებული მუშაკის საპატიო ნიშნები და წოდებები, „წარჩინებული სამსახურისათვის“ სამი მედალი, ვახტანგ გორგასალის მესამე ხარისხის ორდენი, მედალი „მხედრული მამაცობისათვის“ და სხვა.

ამჟამად პოლიციის გენერალ-მაიორი ნოდარ დალაქიშვილი იმყოფება დამსახურებულ პენსიაზე, მაგრამ როგორ დაისვენებს ექვსი შვილიშვილის პაპა. იგი, მისთვის ჩვეული მზრუნველობით და ფარფატებს ოჯახურ მეურნეობას და ყურადღებას არ აკლებს მონაგარს. ჯერ კიდევ ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე, იგი დღესაც მზადაა ემსახუროს თავის ქვეყანასა და ქალაქს. ხშირად უთქვამს – ჯერ კიდევ ბევრი კარგი საქმის გაკეთება შემიძლიაო. ამ სიტყვების



same board.

- In 1996 he was appointed on the position of the chief of Shida Kartli Regional Main Board of Internal Affairs.

- The deputy chief of expert-criminalistics main board of Ministry of Internal Affairs.

It is natural that positional growth was followed by corresponding titles:

1989-Major of Police; 1993-Vice-Colonel; 1996-Colonel of Police; 2001-Major-General

